619
1980

თებერვალი
№ 2 1980 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში.

მიხეილ კვირიკაშვილის ფოტო.

# „დროშის“ მკითხველებს

პატივცემულო ამხანაგებო!

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „დროშა“ თვალისჩინივით უფრთხილდება იმ ძვირფას გამოცდილებას, რაც მას დაგროვილი აქვს წლების მანძილზე. ბუნებრივია, რომ ახალი ვითარება ახალ ამოცანებსაც უსახავს ჟურნალს, რომელიც მოვალეა ჭეშმარიტი მემატიანე იყოს აღმავლობის გზით მიმავალი რესპუბლიკისა.

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელსაც, როგორც ყოველთვის, ჟურნალი „დროშა“ თავის მთავარ ამოცანად თვლის კვლავაც შეიტანოს წვლილი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

აპრილის თვეში ჩვენი ქვეყანა იდღესასწაულებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ხოლო მაისში — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავს. 1980 წელი იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელიწადი.

ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენები ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც ფართოდ გაშუქდება.

იმისათვის, რომ „დროშა“ ნამდვილად იყოს საინტერესო, მებრძოლი ჟურნალი, აუცილებელია გავითვალისწინოთ ჩვენი მკითხველების სურვილები, წინადადებანი, რჩევა-დარიგებანი.

ამასთან დაკავშირებით ვთხოვთ „დროშის“ ყველა მკითხველს მოგვაწოდოს თავისი მოსაზრებანი, როგორი სურს იხილოს ჟურნალი 1980 წელს და შემდგომ წლებში, რედაქციამ რა კონკრეტულ თემებს მიაქციოს მეტი ყურადღება, რა საჭირბოროტო საკითხები აქციოს მსჯელობის საგნად.

რედაქცია ელის თქვენს წერილებს.

„დროშის“ სარედაქციო კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზიანი თარიღები

**თენგიზ გოგოლაძე**

16708

„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“ — ხალხს უთქვამს. თებერვლის ბოლო დღეები იმ სარკმელსა ჰგვანან, მთელ ზამთარს დაგმანული რომ არის, უცებ ფართოდ გაალებ და გაზაფხულის მზე და ყვავილები ალერსით შემოგცინებენ.

თებერვლის ბოლო დღეები დასაწყისია გაზაფხულისა. ეს ალბათ იმიტომაც, რომ ჩვენს გულებს რაღაც განსაკუთრებული სითბოთი ავსებს ამ დღეთა მზიანი თარიღები.

ოცდასამ თებერვალს საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის დღეა; ოცდაოთხ თებერვალს ჩვენი მშრომელები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს აირჩევენ; ოცდახუთ თებერვალს საბჭოთა საქართველოს დაბადების ორმოცდაცხრამეტი წელი სრულდება.

საზეიმო დღე მარტოოდენ სადღესასწაულოდ კი არ განაწყობს ადამიანებს. ამ დროს მშრომელები აჯამებენ თავიანთ მიღწევებს და თავს უყრიან ყველა იმ სიკეთეს, რაც ჩვენს ქვეყანას განადიდებს, რაც ჩვენი ხალხის მატერიალურ და კულტურულ დონეს ამაღლებს.

მშვიდობიან შრომას საიმედო დაცვა სჭირდება. ასეთი საიმედო დამცველი გვყავს, ჩვენი სახელოვანი, ბრძოლებში გამოწრთობილი არმიის სახით. საბჭოთა არმია იყო და არის ხალხთა მოსარჩლე, ხალხთა მხსნელი, თავისუფლებისა და მშვიდობის ერთგული გუშაგი. დიდ სამამულო ომში ყველაზე ნათლად გამოიკვეთა მისი სახე, როგორც ხალხთა განმათავისუფლებელი არმიისა.

როცა ასეთი ძლიერი დამცველი გყავს, გწამს და გჯერა, რომ მსახვრალი ხელი შენს ნაშრომს, შენს აშენებულს, შენს დარგულ ხეს იოლად ვერ შეეხება; იცი, რომ შენი შრომა ნაყოფს გამოიღებს და სიკეთე თაობიდან თაობას გადაეცემა!

ომის შემდგომ ოცდათხუთმეტი წელიწადია მშვიდობიანად ვცხოვრობთ, მშვიდობიანად ვშრომობთ. ასეთი ხანგრძლივი მშვიდობა ჩვენს ხალხს ჯერ არ ჰქონია. ეს კი ჩვენი პარტიის, მთავრობისა და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დიდი და ჯაუღალავი შრომის შედეგადაა მოპოვებული.

წლევანდელი წელიწადი მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელია. 1980 წელი ჩვენი პარტიის ოცდამეექვსე ყრილობისათვის აქტიური მზადების წელიცაა. წელს უნდა შესრულდეს, წელს უნდა დაგვირგვინდეს, რაც კი ოცდამეხუთე ყრილობამ დაგვისახა. საქართველოს მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ ამ გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად.

ტრადიციად იქცა საქართველოს მშრომელებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულითადი მილოცვა.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს მშრომელები ამ უკანასკნელ წლებში, ჩვენი რესპუბლიკის აღმავლობის წლებში, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიან.

თვალს ავლებ შარშანდელ შედეგებს და გული სიამაყით გევსება, როცა იხსენებ ჩვენი კოლმეურნე გლეხების, მუშებისა და ინტელიგენციის შრომით წარმატებებს.

მიაბიჯებს ახალი წელი ახალი გეგმებით, ენთუზიაზმითა და ენერგიით. ცხოვრება დღითი დღე ახალ პირობებს უყენებს მშრომელ ადამიანებს:

უფრო მეტი, უფრო კარგი, გამძლე, ლამაზი... ისევ მშრომელი კაცის საკეთილდღეოდ, მისი შვილებისა და შვილიშვილების საკეთილდღეოდ!

წლევანდელ თებერვალს კიდევ ერთი საზეიმო თარიღი შეემატა — ოცდაოთხი თებერვალი, საბჭოების არჩევნების დღე.

დიახ, ყოველ სიკეთეს ჩვენში თავისი განსაკუთრებული გამოხატულება აქვს და არჩევნებიც ამიტომ ქცეულა სახალხო დღესასწაულად.

საიუბილეო დღეებში ვაჯამებთ წარსულ საქმეებს, გვახარებს წარმატებანი, მაგრამ არც წარუმატებლობას მოვუხუჭავთ თვალს. ზეიმი ზეიმია, მაგრამ ხვალინდელი დღე გვიკარნახებს, დავძლიოთ ყოველგვარი ნაკლოვანება, მანკიერება, ავი გადმონაშთი. ასეთია პარტიისა და ხალხის ნება-სურვილი.

ახალგაზრდობა ყოველთვის იყო ქვეყნის იმედი და მაცოცხლებელი ძალა. ჩვენს მომავალ თაობას აქვს ჯანსაღი სული და შემართების უნარი. ამის დასტური იყო თუნდაც ის საზეიმო გაცილება, რაც ცოტა ხნის წინათ ჩვენი სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების ცხოვრებაში მოხდა. ოცდაერთი სპეციალობის ათას ორასზე მეტი ახალგაზრდა წავიდა სოფლად სამუშაოდ. ესენი არიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული და სუბტროპიკული ინსტიტუტების კურსდამთავრებულები. მათ ცხოვრების გზა მამაშვილურად დაულოცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ.

სოფელმა მიიღო ახალი ძალა; ქალაქი იღებს ახალ ძალას; ჩვენი არმია იღებს ახალ ძალას. ჩვენი იმედი ახალგაზრდობაა,—ჩვენი ხვალინდელი დღე! აღორძინებული საქართველო ახალი გამარჯვებებით ხვდება თავის მზიან თარიღებს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№ 2 (518). თებერვალი, 1980

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა


© „დროშა“, 1980 წ.


მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.



# ლენინისეულ ადგილებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მისი ოთახი

ფილიპე მახარაძე

დიდია ქალაქ ულიანოვსკის მიმზიდველი ძალა — აქ ყველაფერი ვალოდია ულიანოვის ბავშვობასა და ყრმობას გვაგონებს.

დაძაბული ყურადღებით ათვალიერებენ ბელადის სახლ-მუზეუმში გიმნაზისტ ვალოდია ულიანოვის ოთახს, რომელშიც იგი 1878 წლის აგვისტოდან 1888 წლის ივნისამდე ცხოვრობდა.

დღეს სახლი წარმოგვიდგება იმ სახით, ბელადის ბავშვობისა და ყრმობის შორეულ წლებში რომ იყო.

ოთახები სადად და უბრალოდაა მოწყობილი, არავითარი ფუფუნება, არაფერი ზედმეტი!

რკინის საწოლი, ფანჯარასთან ხის მაგიდა; მაგიდაზე საწერი მოწყობილობა, სანთელი; აქვეა გიმნაზიაში მიღებული ქების ფურცლები და ნაჩუქარი წიგნები; ორი ვენური სკამი. კედელზე გაკრულია დიდი რუკა და სიმწიფის ატესტატი. თაროზე აწყვია კარლ მარქსის „კაპიტალი“, სახელმძღვანელოები, პუშკინის, სალტიკოვ-შჩედრინის, ნეკრასოვის თხზულებანი და 1868 წლის „სოვრემენიკის“ მეხუთე წიგნი, რომელშიც პირველად დაიბეჭდა ჩერნიშევსკის სახელგანთქმული რომანი „რა ვაკეთოთ?“.

ვლადიმერ ილიას ძის ოთახი უფროსი ძმის ალექსანდრეს ოთახის გვერდითაა მოთავსებული. ამ ოთახის ერთადერთი ფანჯარა ეზოში გადის.

მეოთხე კლასიდან მეხუთე კლასში 48 მოწაფიდან 24 გადავიდა, მხოლოდ ვლადიმერ ულიანოვმა დაამთავრა ეს კლასი წარჩინებით და მიიღო სამახსოვრო ჯილდო — ცნობილი პედაგოგის ე. ნ. ვოდოვოზოვას „ევროპის ხალხთა ცხოვრების“ II ტომი (გამოცემული პეტერბურგში 1881 წელს). ეს ერთადერთი წიგნია იმ წიგნებს შორის, რომლითაც ვლადიმერ ულიანოვი დაჯილდოვდა სკოლაში სწავლის პერიოდში.

წიგნზე ბეჭდით და მასწავლებელთა ავტოგრაფებით დამოწმებულია სამახსოვრო წარწერა: „სიმბირსკის გიმნაზიის პედსაბჭო ითვალისწინებს რა ბრწყინვალე წარმატებას, მონდომებას და სანაქებო ყოფაქცევას, IV კლასის აღსაზრდელს ვლადიმერ ულიანოვს აჯილდოვებს ამ წიგნით ქების სიგელთან ერთად. სიმბირსკი“.

ალექსანდრე ულიანოვი პეტერბურგის უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტი იყო, მონაწილეობა რომ მიიღო მეფე ალექსანდრე III თავდასხმაში. იგი დააპატიმრეს და გაასამართლეს. სასამართლოზე ცდილობდა დანაშაულის მთელი სიმძიმე თავის თავზე აეღო, რათა ამხანაგების ბედი შეემსუბუქებინა.

უნებურად იგონებ: როდესაც ალექსანდრე თერთმეტი წლის იყო, თავისი დის — ანას კითხვაზე: „რომელი მანკია უარესი?“ ალექსანდრემ დაუფიქრებლად უპასუხა: „სიცრუე და ლაჩრობა“. ალექსანდრემ დამცველზე უარი თქვა და სასამართლოზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა.

1887 წლის 8 მაისს, დილით, ალექსანდრე ულიანოვი და შეთქმულების ოთხი მონაწილე შლისელბურგის ციხეში ჩამოახრჩვეს. ალექსანდრეს მაშინ 21 წელი შეუსრულდა. როდესაც ძმის დასჯის ცნობა მოვიდა სიმბირსკში, უმცროსი და ოლღა მიწაზე დაემხო და აყვირდა: „ვერ ვიტან მეფეს, მე მოვკლავ მას!“.

ანა ილიას ასული წერდა: „ალექსანდრე ილიას ძე დაიღუპა როგორც გმირი. და მისმა სისხლმა რევოლუციური ხანძრის დაფიონით გზა გაუნათა მის უკან მიმავალ ძმას ვლადიმერს“.

ვლადიმერ ილიას ძე მძიმედ განიცდიდა საყვარელი ძმის დაღუპვას. ამ სახლში გაისმა ახალგაზრდა ვლადიმერ ილიას ძის სიტყვები, წარმოთქმული მეფეზე თავდასხმისათვის დასჯილი უფროსი ძმის ალექსანდრეს დაღუპვის შემდეგ: „არა, ჩვენ ასეთი გზით არ წავალთ. ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ“.

ეს სიტყვები მისი რევოლუციური ფიცი იყო.

ვლადიმერ ულიანოვმა სახლის ზღურბლს რვა წლის ასაკში გადააბიჯა და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უკვე ჭაბუკმა დატოვა.

ეს ოთახი მილიონობით ადამიანისათვის ძვირფასია და მშობლიური. აქ უშუალოდ განიცდი ყველაფერს, რაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

ამ ოთახის ასლს დიდი ყურადღებით და სიყვარულით ათვალიერებენ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში.

## ხალხი ადიდებს!

### ფანდურო, ჩემო ფანდურო

ფანდურო, ჩემო ფანდურო, ფანდურო სიმებწკრიალავ,
შენმა ნათქვამმა სიმღერამ გულებში ცეცხლად იალა.

თელავს ჩუქურთმით ნაკეთო, ქვებით ნაჭედო ალვანსა,
იხაროს მისმა მარჯვენამ, ვინც ასე გაგალამაზა.

ლხენა-ხალისის მოთავევ, გამქარვებელო დარდისა,
შენზე ნამღერი ლექსები კარიდან კარად დადისა.

ამიხმიანდი, ფანდურო, ადიდე კრემლის კედელი,
ადიდე დიდი ლენინი თავისუფლების მჭედელი.

მთქმელი ნ. გიგაური

თიანეთი, სოფ. ვერხველი.

### ჩვენი მზე, ჩვენი შუქურა

იხარე, ჩვენო ქვეყანავ, გულს ია-ვარდი გფენია,
შევარდენთა და არწივთა გუნდები აგიფრენია.

ვადიდოთ ლექსით, სიმღერით, ვინაც გვარგუნა დარია,
ხალხის სიკეთის გულისთვის, ვინც შესძრა მთა და ბარია.

— ეს არის ბრძენი ლენინი, ჩვენი სიკეთის მდომელი,
ჩვენი მზე, ჩვენი შუქურა, სინათლე ჩაუქრობელი.

მთქმელი ი. ჯიმშიტაშვილი

თიანეთი, სოფ. ჩაბანო.

ლექსები ჩაიწერა ნოდარ შამანაძემ.




კომუნისტური და მუშათა პარტიების თეორიულ და საინფორმაციო ჟურნალში „პრობლემი მირა ი სოციალიზმა“ (1980 წელი, იანვარი, № 1), რომელიც გამოდის 37 ენაზე და ვრცელდება 145 ქვეყანაში, გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის სტატია „სკკპ ეროვნული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუხი, № 336 საარჩევნო ოლქი

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

გაზაფხულის ღონიერი ფილტვებით მსუნთქავი ზამთრის იმ დაუვიწყარ დღეს, 20 დეკემბერს, რუხის კულტურის სახლის ვეება დარბაზი ველარ იტევდა 1086 კომლიან სოფელს.

ამ მშვენიერ სასახლეს მოაშურეს სოციალისტური შრომის ნოვატორებმა — მეჩაიეებმა, მეცხოველეებმა, მევენახეებმა, მეაბრეშუმეებმა, მესიმინდეებმა, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, იმ ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა, რომელნიც 24 თებერვალს პირველად მივლენ საარჩევნო უბანში.

რუხელი მშრომელები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებლად შეკრებილან.

ტრიბუნასთან დგება ცნობილი მეჩაიე ქალი, შრომის დიდების ორდენის კავალერი ნატო ღურწკაია. ორატორი შთაგონებით ლაპარაკობს იმ დიდ შრომითს შემართებაზე, რითაც რუხელმა კოლმეურნეებმა უპასუხეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

— რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში,—განაგრძობს ორატორი, — მოხდა არსებითი ხასიათის გარდატეხები, განხორციელდა ღონისძიებები, ნათელ და ალმავალ გზაზე რომ გაიყვანეს ჩვენი ცხოვრებაც და შრომაც. დაფასდა გამრჯე მარჯვენა, ამაღლდა შრომის ნაყოფი. ყოველივე ამას გულითადად ვუმადლით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შეუნელებელ ზრუნვას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია თანამიმდევრულად იბრძვის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ამ ბრძოლის სიკეთეს გრძნობენ რუხელი მშრომელებიც. ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, რეალური რეზერვების მაქსიმალურად ამოქმედების, სამხრეთული კულტურების წარმოების გადიდების კურსს, რომელსაც რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს.

კოლმეურნე ქალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს. დამსწრეთა მქუხარე ტაში ხალხის გულისთქმაა, განსხეულებული და დაფრთიანებული, იმ ხალხისა, ვინც ასე დიდებულად იცის დაფასება დიდი ადამიანობისა, უანგარო შრომისა, სინათლისა.

ტრიბუნასთან ერთმანეთს ცვლიან კოლმეურნეები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი ერთსულოვნად, მთელი სულითა და გულით უჭერენ მხარს წინადადებას და ერთხმად ადგენენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების რუხის № 336 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნეს ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე.

რუხელმა მშრომელებმა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირველად ამ ოთხი წლის წინათ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ამ ხნის მანძილზე ისინი ყოველდღიურად გრძნობდნენ და გრძნობენ თავიანთი რჩეულის დიდ ყურადღებასა და ამაგს.

კიდევ რამდენიმე შემობრუნება დედამიწისა თავისი ღერძის გარშემო და დღის მატებაც დაიწყება.

რუხელ მშრომელთა, ისე როგორც მთელი საქართველოს მშრომელთა, სიცოცხლის დღემ ცხრაასოცდაერთი წლის თებერვალში დაიწყო მატება. მას შემდეგ იგი დაუსრულებლად მატულობს და დიდდება.

* * *

ბევრ სასახელო წარმატებას მიაღწიეს რუხელებმა არჩევნებიდან არჩევნებამდე განვლილ ოთხ წელიწადში. ეს სწორედ მეათე ხუთწლედის ოთხი წელიწადია და ამ დროის განმავლობაში რუხელმა მეჩაიეებმა 13.050 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 14.480 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ყურძნის, აბრეშუმის პარკის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავალი გადიდდა 1,5-ჯერ, რამაც მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

კოლმეურნეობის შემოსავალი 1978 წლის 3.276 000 მანეთიდან 1979 წელს ოთხ მილიონ მანეთამდე გაიზარდა. 1979 წელს ერთი შრომადღის ანაზღაურებამ 8 მანეთი და 92 კაპიკი შეადგინა.

გონიერი ხალხის ღონიერი სოფელი ამაყობს თავისი ცხოვრებით. კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით ააშენა სამსართულიანი შენობა საშუალო სკოლისათვის, რომელშიც ამჟამად 542 ბავშვი სწავლობს. ამ სკოლის 43 მასწავლებლიდან 37 რუხში დაბადებული და გაზრდილია. მათი აღსაზრდელებიც აქტიურად არიან ჩაბმუ-

ლი საკოლმეურნეო შრომაში. შარშან მოსწავლეთა მარჯვენით 100-მდე ტონა ჩაი მოიკრიფა. სკოლის ყველა კურსდამთავრებული, გარდა რამდენიმე ახალგაზრდისა, რომლებიც სწავლის გასაგრძელებლად მიდიან, კოლმეურნეობაში რჩება სამუშაოდ.

—ნაყოფიერ შედეგს გვაძლევს კოლმეურნეობისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა შრომითი აღზრდის საკითხებზე, — ამბობს რუხის საშუალო სკოლის დირექტორი ვარლამ ნაჭყებია, — აუცილებლად უნდა აღინიშნოს კოლმეურნეობის გამგეობის მზრუნველობა ჩვენს მოზარდ თაობაზე.

მესამე წელია, რაც კოლმეურნეობა ერთი საშუალო და ორი რვაწლიანი სკოლების რვაასამდე მოსწავლეს უფასოდ აძლევს სახელმძღვანელოებს, გახანგრძლივებული დღის ჯგუფის 150 მოსწავლეს უსასყიდლოდ ეძლევა ცხელი საჭმელი. კოლმეურნეობის გამგეობამ საბავშვო ბაღებისათვის გამოყო ავტობუსი, რომელსაც ყველა ბავშვი მიჰყავს სახლიდან ბაღში და ბაღიდან სახლში.

კოლმეურნეობის სახსრებით ნაწულუკუს უბანში აშენდა საბავშვო ბაღი. ამ უბანს მალე რვაწლიანი სკოლის ახალი შენობაც დაამშვენებს, ხოლო საჭკადუოს უბანში საბავშვო ბაღის შენობა აიგება.

...სოციალისტური შრომის გმირი მეჩაიე ალექსანდრა ბახტაძე ხუთი ათეული წლისა ახლახან გამხდარა. უყურებ და გიკვირს, რა ენერგია, რა სიყვარული ამოძრავებს ამ კაფანდარა ქალს, რომლის ნაზი თითებიც დღეში ორას კილოგრამ მწვანე ფოთოლს კრეფენ. ამავე კოლმეურნეობაში მუშაობენ მისი მეუღლე და ვაჟიშვილი — წარჩინებული ინჟინერ-მექანიზატორი. დედის მხარდამხარ, ერთ ბრიგადაში კრეფს ჩაის იზოლდა ბახტაძე და ორივენი რუხის სასოფლო საბჭოს დეპუტატები არიან. მეორე ქალიშვილმა, როზამ, სოხუმში დაამთავრა ინსტიტუტი და ამჟამად აქვე მუშაობს აგრონომ-დეკორატორად.

წელგამართულად ცხოვრობს ბახტაძეების ოჯახი, რომელმაც ჯერ კიდევ 1949 წელს აიშენა დიდი და კეთილმოწყობილი სახლი. აიშენეს, თან გული ეთანალრებოდათ, ამხელა სახლი რად გვინდაო. მაგრამ თურმე სჭირდებოდათ. ახლა ალექსანდრას შვიდი შვილიშვილი ჰყავს. მისი უფროსი შვილიშვილი უკვე მეშვიდე კლასში დადის.

ბახტაძეების ბინა ვახსენე. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია რუხელთა საცხოვრებელი სახლების სილამაზისა და სიმკვრივის შესაცნობად და ეს არც არის შემთხვევითი.

— სულ ახლახან ჩვენი სოფლისა და კოლმეურნეობის ისტორიის მუზეუმის შექმნა გადავწყვიტეთ და წამოვიწყეთ კიდეც, — ამბობს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე სიმონ კალანდია, — ზოგიერთი ექსპონატი პარტიული კომიტეტის ოთახში გამოვფინეთ.

ვთხოვე, მაჩვენონ.

ერთ-ერთ ექსპონატზე აღბეჭდილია დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის ქართველ დელეგატთა ჯგუფი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებთან ერთად. 1935 წელს გადაღებულ ამ ფოტოსურათზე მაჩვენებენ კოლმეურნეობის პირველ დამაარსებელს ანტონ შენგელიას. ქართველ კოლმეურნეთა ჯგუფს 1936 წელს გადაუღია სურათი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. ამ ჯგუფური პორტრეტიდან გადმოგვყურებს თექვსმეტი წლის ქალიშვილი, რუხელი მეჩაიე ლუბა შენგელია — პირველთაგანი ლენინის ორდენოსან ქართველ ქალთა შორის. ამ ოთახშივე ვხედავთ საბჭოთა კავშირის გმირ გრიგოლ სხულუხიას პორტრეტს. ეს ლეგენდად ქცეული ადამიანი, რომელიც ომში წასვლამდე რუხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო, ფაშისტებმა ცოცხლად დაწვეს.

კარგი საფუძველი ჩაუყრიათ რუხელებს თავიანთი მომავალი მუზეუმისათვის. მის ექსპონატადვე შეიძლება ჩაითვალოს ეზოში აღმართული მარმარილოს დაფა, რომელსაც ამშვენებს ფელიქს ძერჟინსკისა და სერგო ორჯონიკიძის ბარელიეფები და წარწერა: „1922 წელს სოფელ რუხს ეწვივნენ ოქტომბრის რევოლუციის რაინდები ფ. ე. ძერჟინსკი და ს. კ. ორჯონიკიძე“. ცოტა მოშორებით ცაში სამი სვეტი ატყორცნილა. ომში დაცემულ თანასოფლელთა უკვდავსაყოფად აღმართულ სვეტებზე ამოკვეთილია 174 შინმოუსვლელი რუხელის გვარი.

გალის რაიონის საზღვართან სულ ახლახან გაშენებული პარკის დასათვალიერებლად მივდივართ. მანქანის საჭეს უზის ახალგაზრდა კაცი ოდიკი თოდუა — ხელმძღვანელი კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადისა, რომელსაც შარშან გათვალისწინებული 191 ტონის ნაცვლად 253 ტონა ჩაის ფოთოლი მოუკრეფია.

აი ისიც, ენგურის პირზე აგებული სახელგანთქმული რუხის ციხის გადასწვრივ გაშენებული ძმობის დიდებული პარკი, რომელსაც ცნობილი აფხაზი რევოლუციონერის ნესტორ ლაკობას სახელი ეწოდა.

რუხის ციხესა და ამ პარკს შორის გაწოლილი ფართო შარაგზა სოხუმიდან თბილისში მოდის. ამ გზაზე ძმობა და სიყვარული, სინათლე და სიწმინდე დააბიჯებს.

* * *

გზატკეცილის გადასწვრივ ამაყად აღმართული სასახლის წინ ვჩერდებით. ამ შენობაშია კულტურის სახლი და კოლმეურნეობის კანტორა, აქვეა რუხის № 336 ოლქის საარჩევნო კომისია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვრცელი კაბინეტი ხალხით არის სავსე. არტელის აქტივი ეცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა საქართველოს მუშებისადმი, კოლმეურნეებისადმი, სახალხო ინტელიგენციისადმი, ყველა მშრომელისადმი, ეცნობა და ახალ ღონისძიებებს სახავს მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის.

მეჩაიეებმა გადაწყვიტეს, წელს მოკრიფონ ოთხი ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც იქნება მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშზე მოკრეფილი ნედლეული. მეჩაიეებმა ვ. ალექსანდრიამ, შ. ფარცვანიამ, გ. გოგილანძემ, ლ. თოდუამ, ე. გერეხელიამ, ბ. ფაცურიამ, მ. ნანავამ, ნ. ღურწკაიამ და სხვებმა იკისრეს, თითოეულმა 10 ტონაზე მეტი ფოთოლი მოკრიფოს. მეცამეტე საწარმოო ბრიგადის წევრების პირობაა, ჩაის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 17 ტონამდე აიყვანონ...

კრება დასასრულს უახლოვდება. კანტორაში ფოსტალიონი შემოდის ახალი გაზეთებით. ერთმა ქალიშვილმა „კომუნისტის“ ახალ ნომერს დასტაცა ხელი და გახარებული შევარდა დარბაზში.

კრების თავმჯდომარე დამსწრეებს უკითხავს:

„ღია წერილი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების საოლქო კომისიებს“.

ღია წერილის ამბავი იმ წამსვე მოედო მთელ რუხს.

* * *

29 იანვარი.

სინათლის დედის — ენგურის პირებზე ძალუმად გაიკაშკაშა ახალი კოლხეთის მაშვრალი ადამიანების მართალი გულის სინათლემ.

კულტურის სახლის დარბაზში თავშეყრილ რუხელთა სახეებს სიამაყისა და სიხარულის ათინათი დასთამაშებთ.

იწყება უაღრესად გულთბილი შეხვედრა. ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, რუხის № 336 საარჩევნო ოლქის მშრომელთა სასახელო საქმეებზე და მომავლის გეგმებზე ლაპარაკობენ პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ივლიანე თოდუა, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი — სოფელ რიყის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი თ. ფაცაცია, სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარე ზ. თოდუა, ზედა ეწრის მეურნეობა-ტექნიკუმის მოსწავლე მ. კოდუა, რუხის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნაჭყებია, ზედა ეწრის მეურნეობა-ტექნიკუმის მეცხოველე პ. რიაბოკონი, სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიე გ. ჩაგინავა. მათ სიტყვებში გატარებულია რესპუბლიკის მშრომელთა გულისნადები, მათი აზრი და ფიქრი.

შეხვედრის მონაწილენი, და მათთან ერთად მთელი ჩვენი რესპუბლიკა, დიდი ყურადღებით ისმენს დეპუტატობის კანდიდატის ე. ა. შევარდნაძის გამოსვლას. გულში ჩამწვდომად გაისმის მისი სიტყვები: „გმირული შრომით გამოვჭედოთ ქვეყნის ნათელი, ულრუბლო მომავალი“.

* * *

რუხელებს ვემშვიდობები და მთელი გულით მათთანვე ვრჩები. ვფიქრობ ამ საოცრად შრომისმოყვარე, პატიოსან და ვაჟკაცურ ადამიანებზე.

ისინი არასდროს შეარცხვენენ თავიანთი სოფლის სახელს, თავიანთი კოლმეურნეობის სახელს.

ამ კოლმეურნეობის სახელი კი არის „საქართველო“.

კოლმეურნეობა „საქართველო“, რიყის, ჩხორიის, ტყაიის კოლმეურნეებთან, ზედაეწრის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმისა და ჩაის ფაბრიკის მშრომელებთან ერთად, 24 თებერვალს მთელი საქართველოს სახელით ერთსულოვნად მისცემს ხმას დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს — ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ენერგიულ და მამაც ადამიანს, რომელმაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა როგორც რესპუბლიკაში, ისე მთელ ქვეყანაში.

ზუგდიდის რაიონი,
სოფელი რუხი.

# ჩვენი უპირველესი საზრუნავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ოთარ ჩერქეზია,**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბავშვის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადების თაობაზე, ერთსულოვნად მოიწონა მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის 1979 წლის 1 იანვრის გამოსვლა ტელევიზიით მოზარდი თაობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი გამოვლინება იყო. მან დასაბამი მისცა აღზრდის საქმის შემდგომი სრულყოფის, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეთა სწავლის, კომუნისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებელთა ფორმირების მიზნით ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას.

ბავშვის საერთაშორისო წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს რესპუბლიკაში იყო უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ზურაბ პატარიძის მოხსენება „1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან და 1979 წლის 1 იანვარს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანებთან დაკავშირებით საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესების საქმეში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ“.

ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვთა კონტინგენტის უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთო-საკავშირო დონეს (1979 წელს — 27,4 პროცენტი, 1980 წლის გეგმით — 28,7 პროცენტი, მაშინ როცა საერთო-საკავშირო მაჩვენებელი 41 პროცენტია). ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ 1985 წლისათვის მივაღწიოთ საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებთან ერთად სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრების მაქსიმალური გამოყენებით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით გათვალისწინებულია 1980-1985 წლებში ამ გზით აშენდეს სკოლამდელი დაწესებულებანი 58.710 ბავშვისათვის.

ამავე დადგენილებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყოველწლიური გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, შესაბამისი კადრების მომზადების უზრუნველყოფა.

1979 წელს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი 6.500 ბავშვისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა ბავშვის საერთაშორისო წელს, ისევე როგორც წინა წლებში, წარმატებით შესრულდა. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემულია სკოლები 35.673 მოსწავლისათვის. 31 სკოლა 9.140 მოსწავლისათვის აშენდა რესპუბლიკის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო გეგმის ანგარიშში.

ბავშვის საერთაშორისო წელს კარგად იმუშავეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა საბავშვო ასორტიმენტის ნაწარმის გამოსაშვებად. 1979 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 723,8 ათასი ცალი შეკერილი ნაწარმი, 1 მილიონ 640,5 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, 73 ათასი წყვილი წინდა, 209 ათასი გრძივი მეტრი ქსოვილი.

1979 წელს ბავშვთათვის განკუთვნილი შეკერილი ნაწარმის გამოშვება წინა წელთან შედარებით 104 პროცენტით გაიზარდა, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 104, წინდებისა—108, ფეხსაცმლისა—103 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა შარშან სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოუშვეს საბავშვო ასორტიმენტის შეკერილი ნაწარმის საერთო მოცულობის 30 პროცენტი, ტრიკოტაჟის ნაწარმის — 31, წინდების — 10,5, ფეხსაცმლის — 11,8, ქსოვილების — 3,2 პროცენტი.

თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკა მთლიანად საბავშვო ასორტიმენტის ნაწარმის გამოშვებაზე გადავიდა და მას დაერქვა საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკა.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა აითვისეს 35 ახალი სახეობის საბავშვო ნაწარმის გამოშვება. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობა. შარშან მხოლოდ ცხრა თვეში გამოშვებულია 4 მილიონ 630 ათასი მანეთის 36 დასახელების საბავშვო ასორტიმენტის პროდუქცია.

გადიდდა რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობაც.

ვაჭრობის სამინისტროს ხაზით ბათუმში, ხაშურსა და თელავში გაიხსნა ბავშვთა კვების პროდუქტების გასაყიდი მაღაზიები, ხოლო ქუთაისსა და ფოთში — საბავშვო კაფეები.

ცეკავშირის ხაზით რესპუბლიკის რაიონებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან გაიხსნა 27 სასადილო და ბუფეტი, მუშაობს 4 საბაზო სასადილო გორსა და ზუგდიდში, 2 კვების კომბინატი გარდაბნისა და სიღნაღის რაიონებში.

სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის ყველა სავაჭრო ორგანიზაციაში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა სანიმუშო სავაჭრო მომსახურების ერთთვიური.

თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში მოეწყო საცალო ბაზრობები, სასკოლო ბაზრობები საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გასაყიდად, მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმლისა და სასკოლო ხელსაწყოების გამოფენა-გაყიდვა.

გათვალისწინებულია თბილისში ახალი უნივერმაღის „ბავშვთა სამყაროს“ მშენებლობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით ინსტიტუტმა „თბილქალაქპროექტმა“ მოამზადა პროექტი, რომელიც უკვე განიხილა სახმშენმა და მოიწონა ტექნიკურმა საბჭომ.

ბავშვის საერთაშორისო წელს განხორციელდა ნორჩთა სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ფართო პროგრამა. სულ მეათე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 928-საწოლიანი და ცვლაში 500 პაციენტის მისაღებად განკუთვნილი საბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი, 200-საწოლიანი სანიტარულ-საკურორტო დაწესებულებანი, 120-საწოლიანი ბავშვის სახლი. იხსნება ბავშვთა რეაბილიტაციის რესპუბლიკური ცენტრი, სადაც 150 ამბულატორიული ადგილია. აქ ბავშვთა სამკურნალოდ გამოიყენებენ მეთოდების კომპლექსს, რომელიც შეიცავს სამკურნალო ფიზკულტურასა და მასაჟს, ტალახით მკურნალობას. გაიხსნება ფიზიოთერაპიული, ბალნეოლოგიური საპროცედურო კაბინეტები (საცურაო აუზები, შარკოს შხაპი, ცირკულარული შხაპი და სხვ.). ცენტრთან იმუშავებს რვაწლიანი სკოლა.

კარგი თაოსნობა გამოიჩინა პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. აქ საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მოძრავი პოლიკლინიკა, რომელიც გათვალისწინებულია სოფლად ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და დისპანსერიზაციის საქმეში დახმარების გასაწევად. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მოიწონა ეს თაოსნობა და დაამტკიცა მოძრავი პოლიკლინიკის სტრუქტურა. მის შემადგენლობაში შედიან პედიატრები, ნევროპათოლოგები, ქირურგები, ოტოლარინგოლოგი, ენტომოლოგი, ოკულისტი, ლაბორანტი და ექიმი ორგანიზატორი. დამტკიცებულია სოფლებში გასვლის გრაფიკი და დროებითი დებულება.

იმაზე, თუ რას აკეთებს მოძრავი პოლიკლინიკა, შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი მონაცემებით: ოთხ რაიონში ოცი დღის განმავლობაში პოლიკლინიკის პერსონალმა გასინჯა 5.693, ხოლო დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აიყვანა 2.675 ბავშვი, მეთოდიკური დახმარება აღმოუჩინა ადგილობრივ ექიმთა პერსონალს და დედებს.

უმჯობესდება მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ბავშვთა შორის. რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა ჩაატარა დათვალიერება-კონკურსი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საუკეთესო სპორტულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული კოლექტივის გამოსავლენად. დათვალიერებაში 100 ათასი მოზარდი მონაწილეობდა.

დათვალიერება-კონკურსმა ცხადყო, რომ 1979 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტულ-გამაჯანსაღე-



ბელი კლუბების რაოდენობა, სპორტულ სექციებსა და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში ახლა უკვე ჩაბმულია 21 ათასზე მეტი ბავშვი. ეზოებსა და მიკრორაიონებში ბავშვთა განკარგულებაშია სხვადასხვა ტიპის 314 სპორტული ბაზა, მარტივი ტიპის 260 სპორტული მოედანი, 28 საფეხბურთო მინდორი, 20 საცურაო აუზი და საჭყუმპალაო და ა. შ.

1979 წელს რესპუბლიკაში პირველად ჩატარდა „საოჯახო სპარტაკიადა“. ბავშვთა შორის განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო შეჯიბრებამ „ტყავის ბურთის“ პრიზზე, აგრეთვე „იმედის სტარტებმა“, ნახატების რესპუბლიკურმა კონკურსმა „ჩემი მთები“.

მოეწყო 6-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ცურვის შემსწავლელი კურსების მეცადინეობანი. 1.950 მონაწილიდან 1.036 ბავშვი დაეუფლა სხვადასხვა სტილით ცურვას.

ბავშვის საერთაშორისო წელს პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად იმუშავეს რესპუბლიკაში ბავშვთა დასვენების ორგანიზაციისათვის. გაფართოვდა პიონერბანაკების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების, ბავშვთა შრომისა და დასვენების ბანაკების ქსელი.

ზაფხულში ორგანიზებული წესით დაისვენა 159.467 ბავშვმა, ე. ი. ბავშვთა საერთო კონტინგენტის 18,5 პროცენტმა (1977 წელს — 14,9 პროცენტი, 1978 წელს — 17,5 პროცენტი, საკავშირო მაჩვენებელი — 28,2 პროცენტი).

სტუდენტთა სამშენებლო რაზმებში გაატარა ზაფხული 600 მშენებელმა, შრომისა და დასვენების ბანაკებში — 2.500-მდე მოსწავლემ. პროფკავშირული ორგანიზაციების ხაზით 1979 წლის ზაფხულში პიონერბანაკებში, გამაჯანსაღებელ და სხვა ტიპის ბანაკებში დაისვენა 15.500 ბავშვმა.

თუ 1978 წელს მცხეთის რაიონის კურორტ ცხვარიჭამიის 11 ბანაკში 6.700 ბავშვი ისვენებდა, შარშან 10 ათასმა დაისვენა (დამატებით გაიხსნა ოთხი ბანაკი).

ცხვარიჭამიის ბანაკების კეთილმოსაწყობად საქართველოს პროფსაბჭომ 2 მილიონ მანეთზე მეტი დახარჯა.

ტელევიზიამ და რადიომაუწყებლობამ ციკლების „ბავშვის საერთაშორისო წელი“, „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“, „შენთვის — სამშობლოვ“ მიხედვით წლის დამდეგიდან მოაწყო 400-ზე მეტი გადაცემა, „მოამბის“ პროგრამით გადაიცა მრავალი ინფორმაცია, რეპორტაჟი, ჩანახატი ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობის შესახებ.

ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებულ თემატიკას დიდ ყურადღებას უთმობდნენ სატელევიზიო ჟურნალები „იავნანა“, „ჯანმრთელობა“, „შრომა და დასვენება“, რომლებმაც გამოუშვეს სპეციალური ნომრები.

საბავშვო გადაცემების მთავარი რედაქციის ყველა გადაცემა მჭიდროდ უკავშირდებოდა ბავშვის საერთაშორისო წლის მასალებს. მათ შორის ტელემაყურებლს მოეწონა განხილვა გრძელჭალის მოსწავლეთა კოლექტიური წერილისა, რომელშიც აღძრული იყო სოფლის მტიკვნეული საჭირბოროტო საკითხები; გადაცემა „ულრუბლო ცა“, რომელიც გვიამბობდა, თუ რა კეთდება რესპუბლიკაში ყველაზე პატარებისათვის.

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გამოაცხადა ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი რამდენიმე კონკურსი. ერთ-ერთი მიზნად ისახავდა ბავშვთა შემოქმედებითი უნარის ფართოდ გამოვლენას. რედაქციამ მიიღო მრავალი ნახატი, რომლებმაც მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს. კარგად მოეწყო აგრეთვე ფოტოკონკურსი ბავშვთა ცხოვრების საუკეთესოდ ასახვისათვის.

ნორჩმა მკითხველმა მიიღო გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოშვებული კარგად გაფორმებული წიგნები: არკადი გაიდარის „რჩეული“, შარლ პეროს „რჩეული ზღაპრები“, გიორგი კაჭახიძის, გიორგი ძუგაევის საბავშვო ლექსები, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ბევრი სხვა.

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოუშვა ალბომი — „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“ ბავშვთა თვალით“, რომელიც ნორჩ მხატვართა 225 ნახატს შეიცავს. საინტერესო წიგნები გამოსცეს გამომცემლობებმა „ალაშარამ“, „საბჭოთა აჭარამ“, „ირისთონმა“.

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალში დაიდგა კომპოზიტორ ალექსანდრე ბუკიას საბავშვო ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები“, თბილისის საოპერო თეატრში — კომპოზიტორ მერი დავითაშვილის საბავშვო ოპერა „ნაცარქექია“, ხოლო ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში — კომპოზიტორ ხაგაგორწიანის „თერძი კატა“.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან ერთად კულტურის სამინისტრომ მოაწყო საბავშვო მუსიკის კვირეული, აგრეთვე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

საქართველოს მწერალთა კავშირისა და სკოლების თაოსნობით რესპუბლიკის დედაქალაქსა და ყველა რაიონში მოეწყო ლიტერატურული დილები. ჩვენი საბავშვო მწერლები არამარტო ხალისით მიდიოდნენ თავიანთ ნორჩ მკითხველებთან, მათ არაერთი მშვენიერი ნაწარმოებით გაამდიდრეს მშობლიური საყმაწვილო ლიტერატურა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, თეატრალურმა საზოგადოებამ და კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დეკემბერში ჩაატარეს ტრადიციული კვირეული თემაზე „სკოლა და თეატრი“. კვირეულმა ხელი შეუწყო თეატრებისა და სკოლების კავშირურთიერთობის განმტკიცებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის საერთაშორისო წელს თბილისში გაიხსნა ხელოვნების სკოლა. რესპუბლიკის ქალაქებში მოეწყო მუსიკალური სკოლების ზონალური დათვალიერება.

დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა სამართლებრივ აღზრდას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 91.861 მოსწავლე სწავლობს საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებს.

შარშან გაიხსნა 7 სპორტული სპეციალიზებული ბანაკი არასრულწლოვანთათვის, სადაც დაისვენა 850 ძნელადაღსაზრდელმა ბავშვმა. რესპუბლიკაში მუშაობს ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა 31 კლუბი, რომლებშიც შექმნილია 174 წრე და სექცია. გაერთიანებულია 4.891 ბავშვი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის ჩამტარებელი კომისია კონტროლს უწევდა იმ რეკომენდაციების განხორციელებას, რომლებიც ეძლეოდათ სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს, როგორც საკავშირო, ისევე რესპუბლიკური კომისიების მიერ.

როდესაც ვაჯამებთ რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის ჩატარების შედეგებს, უფლება გვაქვს აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი მუშაობა, რაც გასწიეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ბავშვის საერთაშორისო წლის მიზნებისა და ამოცანების, დედათა და ბავშვთა დაცვის, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დარგში ჩვენი ქვეყნის მიღწევების პროპაგანდისათვის.

ბავშვის საერთაშორისო წლის ჩატარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ჟურნალ-გაზეთებმა, ტელევიზიამ, რადიომ, საქინფორმმა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დაგროვდა იმ აღმზრდელობით ღონისძიებათა ორგანიზაციის დიდი გამოცდილება, რომლებიც განათლების, კულტურის ორგანოების, შემოქმედებითი კავშირების, საქართველოს პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი მეცადინეობით ხორციელდებოდა. ჩვენ უნდა გავამრავლოთ ეს გამოცდილება და ფართოდ გამოვიყენოთ შემდგომ მუშაობაში.

საჭიროა აღინიშნოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის დადებითი გამოცდილება. მოწოდების — „ბავშვებისათვის ყველანი პასუხს ვაგებთ!“ — განსახორციელებლად პარტიის საქალაქო კომიტეტში შეიქმნა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკოორდინაციო საბჭო. იგი ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს ყველა შრომითი კოლექტივის, სასწავლებლისა და შემოქმედებითი ორგანიზაციის მო. ბას ბავშვთა და მოზარდთა აღზრდისათვის, საწარმოთა და დაწესებულებათა შესაძლებლობებს წარმართავს ბავშვებთან მუშაობისათვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ქალაქის საწარმოო-დაწესებულებათა შესაბამის ბაზებში ბავშვთა გონივრული დასვენების მოსაწყობად.

1979 წელს დიდი ყურადღება დაეთმო ჩვენი ბავშვების მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებში, საბავშვო კოლექტივების გაგზავნას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, რათა მათ მხატვრულ თვითმოქმედებას გასცნობოდნენ საზღვარგარეთელი მეგობრები.

1979 წლის ზაფხულს „არტეკის“ საერთაშორისო საბავშვო ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ანსამბლმა „მზიურმა“ და ბავშვთა ანსამბლმა „მაისმა“. „მზიური“ მოგზაურობდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, აცნობდა საზღვარგარეთელ მაყურებელს საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებას.

საარბრიუკენში — თბილისის ძმადნაფიც ქალაქში გამართულ მეგობრობის კვირეულში მონაწილეობდა თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის მოცეკვავეთა ჯგუფი.

ჩვენი 70 პიონერი და უფროსკლასელი შეხვდა თავის თანატოლებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, თბილისის 23-ე სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ ბულგარელ, ხოლო ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის აქტივისტები — უნგრელ მეგობრებს.

შვეციაში გამართულ საბჭოთა კავშირის კვირეულში ქართული ცეკვის ხელოვნება აჩვენეს თბილისის მესამე ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებმა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში გამართულ მსოფლიო კონფერენციაში „ყველა ბავშვის მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისათვის“.

სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ბავშვის საერთაშორისო წელს ქალაქებში, რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მთლიანად ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ბავშვებისათვის. მოზარდი თაობისათვის ზრუნვით გამსჭვალულ ბევრ სასარგებლო საქმეს ჩაეყარა კარგი საფუძველი და ჩვენ ეს ბოლომდე უნდა მივიყვანოთ 1980 წელს და შემდგომში. გასაკეთებელი კი ბევრი გვაქვს.

ჩვენი კომისიის სამდივნო ყურადღებით შეისწავლის და განაზოგადებს შემოსულ წინადადებებს და კომისიის სახელით დაუგზავნის შესაბამის ორგანოებს განსახილველად და ზომების მისაღებად.

წელსაც და მუდამ ჩვენი უპირველესი საზრუნავი ბავშვი იქნება!



ჯანსუღ ჩარკვიანი

# ჩუქურთმა ლექსის ქვაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სიტყვა ხელოვანზე

I

დახუნძლულო კაკლის ხევ,
ღვთივდაცულნო მუხანო,
ერთხელ უნდა განრისხდე,
უნდა დაიმქუხარო.

შენც მანდა ხარ, სიმართლევ,
მონათლულო პოეტად,
შენც მათ უღელს მიათრევ,
წყეული ამ მყუდროებას.

შენი სული წმინდაა,
შენი ხორცი უბიწო,
მეტი არა გინდა რა,
რწმუნება გაქვს უფლისო.

ასე, ზედამდგომელო,
რწმენით — რაც გაიცემა,
საუკუნის ჰომეროსს
ჩვენი თაყვანისცემა!

შენ ხომ სხეულს გამოცდი,
სული გაიმოძღვარე,
ყველა უმოწყალოსთვის
უნდა იყო მოწყალე.

მეოხებად ცოდვილთა,
გონით პირველწარსულთა,
მკერდში ოქროს ზოდითა,
მრისხანებად ავსულთა.

იქით ჯოჯოხეთია,
ხელოვანო, შეჩერდი,
იქ, ბეჭზე აქვს კეთრიანს —
გენიოსის ბეჭედი.

II

იქაც უნდა შებრძანდე
(იქნებ, სალვთო ვერძად),
სანამ სული შეგძრავდეს,
სული უნდა შესძრა.

შეიწყალე ვარძიას
თამარი და შოთა,
სადაც ბევრი ღვარძლია,
იქ პურია ცოტა.

შეიწყალე ტანძიას
დიდი სულხან-საბა,
სადაც ბევრი ღვარძლია,
ვერ იშოვი შარბათს.

ჭირთათმენა ჭირთაგან,
დავანება ვანის,
დაიწვა, გაითანგა,
ვნება ხელოვანის.

უნდა გასჭრას სალვთომან
დიდგორსა და შამქორს,
ელვის სამი გაკრთომა
ყველა საეშმაკოს.

რაიც დღეს არ ითქმება,
დრო ულმობლად შეცვლის,
შენ ხარ ჭეშმარიტება,
შენ ძალა ხარ ზეცის!

ვინც ცათამდე აზიდე
არსებობის აზრი,
შენ იწყები ვაზიდან,
დიდარს შენი ვაზი.

## ირინოლა ჩარკვიანს

დაჯდომისათვის სადა
მცალია,
სხდებიან —
ვნება სად დამცხრალია.
ვზივარ და ვფიქრობ:
ვინ გეყვარება ყველაზე
უფრო? —
დედა თუ მამა?
თუ მამული უპირველესად?
განვლილი გზანი
შემერგოს შხამად,
მტრის ნაფეხური
წუმპე შემესვას,
თუ შეგპარვოდეს
ოდნავად ეჭვი —
შენ ჩემი ფესვის
ნედლო შიმელა,
რომ ქვეყანაზე
მამულის კენჭი
საფლავის ქვაზე
უფრო მძიმეა.

## რკონი

აჰა, გამოჩნდა,
მე ვეპარები...
ჩუმად და წყნარად,
როგორც მაცილი,
ბრწყინავს გუმბათი,
ელავს კარები.
მცირეზე მცირე
დამრჩა მანძილი.

გავხედე, რკონი,
რკონი, მივედი...
მიდი, შეეხე,
არ შეუშინდე,
დამადგა თავზე,
როგორც იმედი
და განუცდელი
ქვეყნის სიმშვიდე.

როგორც სინათლე
იბრძვის უკუნთან,
იბრძვის, რომ
უცებ გამოიდაროს,
ისე ლურჯ ქვაში
იჯდა ჩუქურთმა
და ასხივებდა
ირგვლივ მიდამოს.

ვიარე თეძამს
და მოგეახლე,
ანთუ სიცოცხლე,
ანთუ წამება,
ჩემს ცოდვილ ხელებს
შენ ვერ შეგახებ,
მე ვერ დავარღვევ
ამ მდუმარებას.

## განწყობა

დავცარიელდი,
არ ვგევარ ქართველს,
რაც არი, არი,
დღეს უნდა დავთვრე.

ერთს დავურეკავ
ჯაბა ხელაშვილს,
მერე გავრეკავ
ტაბახმელაში.

ოქროს ფასი აქვს
კიტრსა თუ ჯონჯოლს,
თვალით თარსიან
გავხედავ კოჯორს...

შენ გენაცვალე
და ჩაგეკონე,
მესამე ბოთლზე
კარგად მეყოლე.

## გადუა ხევისბერის ნათქვამი ჯეელთა საფხიზლებლად

დედა, რა კარგა ცხოვრობენ,
დედა, რა გვიან დგებიან,
ვაჟას არ იყოს, — ძლომობენ,
ძროხებივითა სძლებიან.

არცა მამულის დარდი აქვთ,
არცა ცხორის და კომლისა,
ნუხილი აქვით, სწადიანთ
პირადი პირველყოვლისა.

თოფმა მხარ ვის დაუმშვენოს,
გართხმულხართ ფეხქვეშ
მკრეხელთა,
რაც ეგრე მამულს უშველოთ,
სუ ცალკე დაიკვეხნეთა!

## ცრემლი

ლ. ზაქაიძეს

გზებს ვადექით
მიუკვლეველს და მისაკვლევს,
ვინ მიხვდება
ბედი როდის მასხრობს,
რა თქმა უნდა,
გზები გახსოვს ფშავისაკენ,
ბედნიერი იყავი და გახსოვს.

ახლაც წავალთ,
ახლაც წავალთ ფშავისაკენ,
სადღეგრძელოს
ვეტყვით ბებერ მურყვანს,
ღმერთმა იცის,
ღმერთი უვლის თავის საქმეს,
კაიყმა და კაიკაცი უყვარს.

არაგვს ვკითხავთ,
შენი ცრემლით ნაზიარევს —
შესანდობარს
ჩვენსას როდი შესვამს..
შენი სევდა
ტანში ისე მაზრიალებს,
ჩემი ცრემლიც
შეუერთე შენსას.

## იმერეთში

როგორ იქნება
ქვეყნის საქმე,
კარგად თუ გლახად?
დაუფიქრდი, კახა,
ჯერ არ თქვა —
ვეტყვი და კახა
წამსვე ცერა თითს
ბიჭურ შემართავს.

გადვირეოდი
სხვა რომ გეთქვა,
ვაშა, არჩევანს!
შენ აგაშენა,
კახა, ღმერთმა,
შენ აგაშენა.

# „ყვითელი ჭირი"

### თამაზ ნატროშვილი

„... და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქვეყანა", — ასე გადმოგვცემს მონღოლთა შემოსევას საქართველოში ქართველი ჟამთაალმწერელი.

„მონღოლები კალიასავით მოეფინენ ველმინდვრებს, მთებსა და ხეობებს, და წალეკვით ემუქრებოდნენ მთელ ქვეყნიერებას", — გვაუწყებს სომეხი ისტორიკოსი კირაკოზ განძაკელი.

„კალიასავით მოეფინენ მთელი დედამიწის ზურგს და საშინლად ააოხრეს ქვეყნები", — ამბობს ინგლისელი ისტორიკოსი მათეო პარიზელი.

სამივე ავტორი მონღოლთა დასახასიათებლად იშველიებს ცნობილ ბიბლიურ შედარებას: „ვითარცა მკალნი სიმრავლითა".

არნახული და გაუგონარი უბედურება მძაფრი ვნებით მოსავდა მემატიანის კალამს. ფაქტების დინჯი და გულცივი აღნუსხვის ნაცვლად ქაღალდზე ჩნდებოდა ექსპრესიული სახეებით აღსავსე გოდება, რომელიც ეხმიანებოდა ბიბლიურ გოდებას. თუმცა ბიბლიის ფურცლებზე ამოკითხული ტრაგედიები რა მოსატანი იყო მონღოლთა თანამედროვე ისტორიკოსების მიერ საკუთარი თვალით ნანახსა და საკუთარი ყურით მოსმენილ ტანჯვა-ვაებასთან.

მოგვითხრობს ევროპული წყარო: „აღგავეს პირისაგან მიწისა ქალაქები, გაჩეხეს ტყეები, დაამხეს ციხე-სიმაგრენი, ამოძირკვეს ვენახები, გააპარტახეს ბაღები, გაჟლიტეს ქალაქისა თუ სოფლის მკვიდრნი".

მოგვითხრობს სომხური წყარო: „ხმალი უმოწყალოდ მუსრავდა კაცსა და ქალს, ჩვილსა და მოხუცს. ხმელეთი აივსო გვამებით და აღარავინ თხრიდა საფლავს. წყვდიადი გადაეფარა მთელ სამყაროს. შეიყვარეს ადამიანებმა სიბნელე ღამისა და შეიძულეს სინათლე დღისა. ქვეყანა ჩვენი დაემსგავსა უდაბნოს. ჩვენი ქალაქები გადაიქცა ნადირთა ბუნაგებად. სისხლით მორწყულ მინდვრებზე ითესებოდა ძვლები..."

მონღოლთა რისხვა ყველაზე ადრე იგემეს მაჰმადიანურმა ქვეყნებმა; სწორედ ისინი გადაიქცნენ მონღოლთა სისასტიკის უმთავრეს ასპარეზად და ბუნებრივია, რომ მაჰმადიანი ისტორიკოსები დაწვრილებით გვიხატავენ შემაძრწუნებელ სურათებს.

იბნ ალ-ასირი წერს, რომ ადამის გაჩენის დღიდან არ ენახა სამყაროს ასეთი უბედურება. მონღოლები არავისინდობდნენო, ჩვილებს ხოცავდნენ და ორსულ ქალთა მუცლებს ფატრავდნენო. როდესაც ხორასანში გამოქცეულ ბუხარელს ჰკითხეს მისი მშობლიური ქალაქის ბედი, მან მოკლედ მოსჭრა: „მოვიდნენ, გადაგვბუგეს, ამოგვჟლიტეს, ტყვეები წაასხეს და წავიდნენ".

ხვარაზმელი ისტორიკოსის ნესევის სიტყვით, შიში იპყრობდა ადამიანთა სულებს და ვინც ტყვეობაში იყო, უფრო არხეინად გრძნობდა თავს, ვიდრე ის, ვინც საკუთარ სახლში ელოდა გარდუვალ განსაცდელს.

სპარსელი ისტორიკოსი, მონღოლთა სამსახურში მყოფი ჯუვეინი აღიარებს: „სადაც ცხოვრობდა ასი ათასი კაცი, იქ ასიც აღარ დარჩენილა".

ხალხთა განადგურების გრანდიოზული მასშტაბები თავზარს სცემდა თანამედროვეთა წარმოდგენას. ჩინგიზ-ხანის გამარჯვებათა საწინდარი იყო არა მარტო მისი ჯარის სიმრავლე და მხედართმთავრების სამხედრო ხელოვნება, ანდა მეომრების ზღაპრული მხნეობა; მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე ორგანიზებული, მასობრივი ხასიათის ტერორი, დაპყრობილი ტერიტორიების გაუდაბურებისა და მოსახლეობის საყოველთაო მოსპობის პოლიტიკა, რაც ჩინგიზის მემკვიდრეთა დროსაც გრძელდებოდა. სწორედ ეს უჩვეულო ტერორი იწვევდა პანიკას მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში და ქმნიდა მითს მონღოლთა უძლეველობაზე.

ერთნაირად გადმოგვცემენ ისტორიკოსები მონღოლთა მძვინვარებას და, თანახმად იმდროინდელი აზროვნებისა, ერთხმად ამტკიცებენ: მონღოლები ღვთის მიერ მოვლენილი რისხვაა და მონღოლთა უღელი — დამსახურებული სასჯელიო.

რაშიდ ად-დინის თხზულებაში ჩინგიზ-ხანი ასე მიმართავს დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობას: „მე სასჯელი ვარ ღვთისა, თქვენ რომ დიდი ცოდვები არ ჩაგედინათ, არც სასჯელი დაგატყდებოდათ თავზე".

უფალმა ჩვენი ცოდვების გამო სასჯელად მონღოლები მოგვივლინაო, ვკითხულობთ ქართულსა და სომხურ წყაროებში.

...მონღოლთა ერთობ საინტერესო პორტრეტი დაგვიტოვა ფრანცისკანთა ორდენის ბერმა, ტომით იტალიელმა პლანო კარპინიმ. მან აღწერა მონღოლთა ქვეყანა, მათი გარეგნობა, ზნე-ჩვეულებანი, ისტორია, სამხედრო წესები და ორგანიზაცია, მათი მიზნები და გეგმები.

პლანო კარპინი აღგვიწერს მონღოლთა ქედმაღლობას, სიფიცხესა და სიბრაზეს, მატყუარობას და სიხარბეს, პირმოთნეობას და სიძუნწეს, თავშეუკავებელ ლოთობას და ავხორცობას. მონღოლებს ყველაფერში სურდათ სხვა ტომის ადამიანთა დაჯაბნა — ომი იქნებოდა ეს თუ სპორტი. ამის შესანიშნავი დადასტურებაა საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდი: ერთხელ მონღოლთა ჯარში მყოფი ორი ქრისტიანი ქართველი, მათივე გაწვევით, ორ მონღოლს დაეჭიდა. ქართველებმა ორივე ძირს დასცეს, ოღონდ წაქცეულთათვის არაფერი დაუშავებიათ. მოძმეთა დამარცხებით აღშფოთებული მონღოლები გააფთრებით ეცნენ ქართველებს და ხელები გადაუმტვრიეს.

კარპინის სიტყვით, მონღოლები იმდენად ამტანნი იყვნენ, რომ თუნდაც ერთი-ორი დღე ნამცეცი არ ჩაედოთ პირში, არათუ წუხდნენ, არამედ მღეროდნენ და მხიარულობდნენ, თითქოს კარგად დანაყრებული ყოფილიყვნენ. ცხენით მგზავრობის დროს ისინი უდრტვინველად იტანდნენ აუტანელ სიცივესა და სიცხეს.

იტალიელი ბერი გუმანით ხვდებოდა, რომ სულ მოკლე ხანში ევროპელები მოკავშირედ დაიგულებდნენ მონღოლებს მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომაც აფრთხილებდა კათოლიკური ევროპის მეფე-მთავრებს, არაფერში არ შეიძლება მონღოლებს ვერწმუნოთო. არავის შეუძლია მათ სიტყვებს დაენდოსო, რადგანაც ისინი თავის აღთქმას არასოდეს ასრულებენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტში სიტყვითაც და საქმითაც იტყუებიანო. „სისხლის დაღვრას ისინი ისე უცქერიან, როგორც წყლის დაღვრას, ხოლო ადამიანთა გართხმულ გვამებს ნაკელის გროვად სთვლიან", — წერდა პლანო კარპინი.

დაუჯერებელ სიზმარს ჰგავდა კაცობრიობის თავზე მოვლენილი რისხვა. ძნელი სათქმელია, რომელი იყო უფრო შემაძრწუნებელი და დასაგმობი: მონღოლთა შემოსევისას დაქცეული სისხლის ზღვები თუ მათი „მშვიდობიანი" ბატონობა, როდესაც ყოველი კეთილშობილი და ღირსეული პიროვნება დამცირებული იყო, ხოლო ყოველი უზნეო და სულმდაბალი მონღოლთა მონური სამსახურის საზღაურად იხვეჭდა სიმდიდრეს და განუსაზღვრელ ძალაუფლებას თვისტომთა დასაჩაგრად.

კარლ მარქსის სიტყვით, მონღოლთა უღელი მხოლოდ ფიზიკურად როდი თრგუნავდა ადამიანებს, იგი ამდაბლებდა და ასახიჩრებდა დაპყრობილი ხალხების სულს.

...ამ ბოლო ხანებში თანამედროვე ჩინელი ისტორიკოსები ხოტბას ასხამენ ჩინგიზ-ხანისა და მის მემკვიდრეთა სისხლიან ლაშქრობებს აზიასა და ევროპაში, მიაჩნიათ ისინი პროგრესულ მოვლენად, ვინაიდან მათი აზრით, მხოლოდ მონღოლთა გაბატონების წყალობით მიეცათ შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყნის სწავლულებს, პამირის მთებიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით, შეესწავლათ ჩინური ფილოსოფია, ლიტერატურა და ხელოვნება.

ჩინეთში დიდი ზეიმით გადაიხადეს ჩინგიზ-ხანის დაბადების 800 წლისთავი. თურმე მისი დამსახურება ისაა, რომ მან დაამსხვრია საზღვრები ხალხებს შორის, მოსპო მათი კარჩაკეტილობა და აღადგინა დიდი, მრავალეროვანი სახელმწიფო — ჩინეთის იმპერია. რა უშავს, რომ ღაიღვარა სისხლი და გაუდაბურდა ქვეყნები. უმსხვერპლოდ რომელი დიდი საქმე აღსრულებულაო?

თანამედროვე ჩინელ ისტორიკოსებს ეტყობა, აღარ ახსოვთ XIII საუკუნის ჩინელი პოეტების ლექსები, სადაც აღწერილია მონღოლ დამპყრობელთა ბავბნელი საქმეები. აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ ლექსში: „აყვავებული ბედნიერების სამყარო, ბაღი მეცნიერებისა და ხელოვნებისა, ბაღი ადამიანთა კულტურისა — ყველაფერი დაიღუპა, გაქრა, თითქოსდა ცოცხით აღგავესო".

ისიც უთქვამთ მაშინ, მონღოლებმა ისეთი ჭირი დაატეხეს ქვეყნიერებას, რომ მომავალმა ათასმა წელიწადმა თუნდაც მშვიდობიანად ჩაიაროს, ნაოხარი სამყარო ჭრილობებს მაინც ვერ მოიშუშებსო.

გიორგი გელაშვილი

# შრიალი

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამფრთხალი კვიცის სიმარდე ჰქონდა ნატიფ ქალიშვილს. ყოველ ცისმარე დაგვიანებულს რომ ჰგავდა, აგურის ორსართულიანი სახლის სადარბაზო კარიდან მართლაც კვიცივით გამოხტებოდა და მოკლე თავქვეზე ნიავივით დაეშვებოდა. ხოლო თუ მთავარი ქუჩის შესაყარზე, სადაც თითქმის ყველა სახის ტრანსპორტი ჩერდებოდა, ბედად ტროლეიბუსი დახვდებოდა, ასევე გაქანებული შეფრინდებოდა ღია კარში.

მანამდე კი, როცა დაღმართზე ჩამორბოდა, ერთხელ მაინც შეუჩერებლივ შეტრიალდებოდა სახლისაკენ და რომელიღაც ფანჯარას ხელს დაუქნევდა.

— ვის უქნევ შენ ხელს? — დაღმართის შუაზე პატარა დასასვენებელი ბაღი იყო, ტროტუარიდან ცოტა შეწეული, სასმელი წყლის შადრევნით და ორიოდე გათლილი ქვის მოგრძო სკამით. სწორედ პატარა ბაღიდან ტროტუარზე გამოიჭრა ერთ დილით ულვაშაკოკრებული სტუდენტი და ჩვეულებრივ მოჩქარე ქალიშვილს წინ გადაეღობა.

— ჯერ არ მიცნობ და თუ ვის ვუქნევ ხელს, რატომ უნდა გითხრა? — თითქოს მოელოდაო გზაზე ასე გადადგომას და ასეთ შეკითხვასაც, ისე მიახალა ქალიშვილმა და ილამა შეუჩერებლივ აექცია გვერდი, მაგრამ სტუდენტმა არ გაატარა.

— სხვა დროს ფეხს დაგიდებ.

— რომ წავიქცე?

— ისევ მე აგაყენებ.

— რამე რომ მეტკინოს?

— იქნებ მორჩენაც მე შევძლო.

— მაშ, რაღლა უნდა წამაქციო?

— ყურადღება რომ მომაქციო.

— მე კი წიგნის კითხვა არ მინდა შეგიშალო.

— მაშ, უკვე გცნობივარ?

— შემთხვევით შემიმჩნევიხარ.

— მაინც კარგი გოგო ყოფილხარ!

— მაშ, გამიშვი!

— სულ ერთთავად ასე სად გეჩქარება?

— ვმსახურობ. სამსახური მაქვს. შენსავით მარტო წიგნი არ მაბარია.

— მერე, მუდამ სირბილით?

— მუდამ! ცოტა ძილისგუდა ვარ, ცოტაც დილით საქმე მაქვს ხოლმე და ასე მუდამ სირბილი მიხდება.

ვაუმა სამსახურს ანგარიში გაუწია და გზიდან ჩამოდგა. ქალიშვილი მაინც ისე გასხლტა, თითქოს ისევ აკავებდნენ.

მხრებზე დაყრილი აბრეშუმის თმა სირბილში ლამაზი მანდილივით აუფრიალდა, დაღმართი თვალის დახამხამებაზე ჩაათავა, ტროლეიბუსსაც მიუსწრო და ღია კარში მოხდენილად შეფრინდა.

მეორე დილით ყველაფერი ჩვეულებრივ განმეორდა.

ქალიშვილი სადარბაზო კარიდან მკვირცხლად გამოხტა, თავქვეზეც სირბილით დაეშვა, ხოლო შუა დაღმართზე გაუჩერებლად შებზრიალდა და თავისი აგურის სახლის რომელიღაც ფანჯარას ხელი დაუქნია. აი, ყველა ამ კარგად ცნობილ მოქმედებას კი მოულოდნელად მოჰყვა სრულიად ახალი უსწრაფესი ილეთი, რომელმაც მერხიდან ის იყო ახსლეტილ სტუდენტს გული უფრო აუქოთქოთა. ქალიშვილმა ხელი მისკენაც გაათამაშა!

შემდეგ კი, ყოველ დილით უკვე ვაჟისათვის ხელის დაქნევაც შევიდა ქალიშვილის ჩვეულებაში. ხელის დაქნევას ხანდახან ღიმილსაც გაატანდა. ოღონდ, არ უჩერდებოდა.

სტუდენტმა ერთხელაც თვითონ შეაჩერა. წინ გადაუდგა, ხელები გაშალა და მთელი ტროტუარი გადაღობა. ქალიშვილსაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, თავი რომ არ შეემაგრებინა, ყმაწვილს მკერდზე მიეხეთქებოდა, ის კი გულში ჩაიკრავდა.

— რა გინდა, სტუდენტო?

— რატომ არ მიჩერდები?

— რომ გაგიჩერდე, რა?

— მეტყვი რამეს.

— თუ სათქმელი არა მაქვს?

— მოიგონე რამე. ჩემთვის სულ ერთია, რას მეტყვი.

— თუ ვერც ვიგონებ?

— მაშინ მიბრძანე რამე.

— რა უნდა გიბრძანო?

— რა ვიცი, რა! რასაც ხელმწიფის მზეთუნახავი ასული ღატაკი ოჯახის შვილს, ბედის მაძიებელ გამჭრიახ თუ მოსულელო ვაჟს უბრძანებდა ხოლმე.

— შენ რომელი უფრო ხარ?

— რა თქმა უნდა, მოსულელო.

— მე, ცუდად გამომივიდა, არა?

— სავსებით კანონზომიერი შეკითხვა იყო.

— მაშ შენ...

— არა. ნამდვილი სულელი არ ვარ. მხოლოდ ცოტა მოგიყო. მოგიყოც მთლად პირდაპირი გაგებით არა. სულელი და გიჟი რომ ვიყო, თვალს შენ არ დაგადგამდი.

— რა დარგზე ხარ შენ, სტუდენტო, ასე ლამაზად რომ ჰიკჰიკებ? პოეტი უნდა გამოხვიდე?

— პოეტებს დიდ თაყვანს ვცემ. თავად პოეტობა კი არ მიფიქრია. თუმცა, შეიძლება ახლა გავხდე შენი შემხედვარე.

— კარგი ერთი... გამიშვი ახლა!

— ისევ გეჩქარება?

— მე სულ მეჩქარება.

— მე კი მოცლილი გგონივარ? მეც ყოველ დილით მეჩქარება, მაგრამ მერხზე თითქოს დაკრული თუ ტროტუარზე გამოსული, შენს ჩამოსვლას ვუცდი. მერე კი, შენ დაღმართს ჩაათავებ და ტროლეიბუსში ახტები თუ არა, მაშინვე მე აღმართ მივრბივარ, ლექციებზე რომ არ დამაგვიანდეს.

— მეც ვხვდები, რომ ასეა. მაგრამ რა ვქნა? აი, ახლა მე უკვე მივრბივარ და შენც გაიქეცი. მე დაღმართ და შენ აღმართ.

ასე დილაადრიან ბაღში დასაჯდომად ალბათ სხვას არავის ეცალა და სტუდენტი მუდამ მარტო იყო. მარტო კი იყო, მაგრამ თავს მარტოდ არ გრძნობდა. განუწყვეტელი შრიალი ახალისებდა. შრიალებდა ჭადარი, რომლის ძირშიც იჯდა, შრიალებდა ბალახიც, შადრევანიც და მუხლებზე გადაშლილი მისი წიგნის ფურცლებიც. შრიალის ეს საამური ნაერთი იყო მისი თითქმის ცოცხალი თანამოსაუბრეც, რომელიც მარტოობის გრძნობას პირწმინდად გამორეცხავდა.

მომდევნო დღეებში სტუდენტი კიდევ უფრო ღრმად ჩაუკვირდა ქალიშვილის სამსახურებრივ პასუხისმგებლობას და აღარ აჩერებდა. ოღონდ აღარც იჯდა ხოლმე და ტროტუარის პირას რკინიგზის მეისრესავით წინ გამომდგარი, თბილი ღიმილით გზას ულოცავდა.

უკვე სუსხიანი დღეები დაიჭირა. სტუდენტი მაინც არაფერს დაგიდევდათ და ქალიშვილის გამოჩენამდე სათვალთვალო ბაღიდან ფეხს არ იცვლიდა.

მაგრამ ერთ დილით ჩვეულებრივ აღარ ჩამოირბინა ქალიშვილმა და სტუდენტი ძალზე შეფიქრიანდა. ეს ისევე მოულოდნელი და წარმოუდგენელი მოვლენა იყო, როგორც რომელიმე მხცოვანი პროფესორის მიერ ლექციის გაცდენა.

თუმცა, მეცნიერების ტაძარში სწორედ მხცოვანი მეცნიერის გამოუცხადებლობა რაღაც შემზარავ წინათგრძნობას ეახლოება. მაგრამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდასაც შეიძლება გადახდომოდა მოულოდნელი ფათერაკი.

ზამთარი მშრალი იყო, ქარიანი და უყმური. ქარი ზენა უბერავდა. აღმართისკენ თვალმიჩერებული სტუდენტი კი თავის სურვილზე თბილად არ იყო ჩაცმული, ალბათ ხელმოკლეობის გამო. მაგრამ ზუსტად სამი საათი, ანუ სამი ლექციის მონახაზი დრო, მწვავე სიცივის მიუხედავად, მაინც ჯიუტად იდგა ადგილზე. ოღონდ, ამაოდ.

ქალიშვილი არც მეორე, მესამე და მეოთხე დღეს გამოჩნდა. სტუდენტი მაინც მედგრობდა და თავდავიწყებული აცდენდა ლექციებს.

მეოთხე დღეს რომ სანახევროდ გაუცდა და სტუდენტი ფეხათრევით აუყვა აღმართს, წინ ვიღაც ფუმფულა ახალგაზრდა კაცი გადაუდგა.

— ლექციებს ნუ აცდენ, მეგობარო! — პირდაპირ, ყოველგვარი გამოცნაურების გარეშე მიმართა მან სტუდენტს და ხმის შესაფერად ცივად შეათვალიერა.

სტუდენტი შეცბა და გახევდა. მეოთხე დღე იყო აცდენდა იგი პირველ ლექციებს და თუმცა უნივერსიტეტში სანიმუშო სწავლითა და ქცევით გამოირჩეოდა, აი, მასაც არ აპატია დეკანატმა პირველივე დაუდევრობა და თავისი მკაცრი წარმომადგენელი ქუჩაში გამოუგზავნა.

ხოლო, ვიდრე შერცხვენილი და გაოგნებული სტუდენტი გონს მოეგებოდა, უცნობი კიდეც შეტრიალდა და აღმართს აუყვა. ბედად ძალიან ნელა, ზლაზვნით მიდიოდა. ამტომ, სანამ აღმართს აათავებდა, სტუდენტმა მაინც მოასწრო ერთგვარად აზრის მოკრება და აქოშინებული წამოეწია.

— ბოდიში, მაგრამ დაგავალათ ვინმემ ჩემი გაფრთხილება?

— დიახ, დამავალა, — ზანტად გასცრა კბილებში უცნობმა. — სწორედ ვინმემ დამავალა.

უცნობმა კვლავ ზურგი უჩვენა და ისეთი დამცინავი ღიმილით გაეცალა, რომ სტუდენტმა ვეღარაფერი გაუბედა.

შემდეგ ლექციები მეტი აღარ გაუცდენია, მაგრამ უნივერსიტეტში მიმავალი სანატრელ ქალიშვილს კვლავ ვერ ხვდებოდა და გუნებაზე არ იყო. ლექციების დაწყებამდე მაინც ისევ უცდიდა და უკვე ლექციების შემდეგაც კარგა შებინდებამდე ბაღიდან ფეხს არ იცვლიდა.

ბოლოს ვეღარ გაუძლო გაურკვეველ, შიშიანნაღვლიან ყოფას და თავზე ხელი აიღო. საღამო ხანს ფრთხილად შემოუარა ნიშანში აღებულ აგუ-

# თბილისი
# გლდანის რაიონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)



...ახალ ბინაში.




ასე გამოიყურება რაიონის ერთ-ერთი კუთხე.

საკერავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწინავე ფეიქრები დარიკო ცუცქირიძე და მერი მურჯიკნელი.



საბჭოების არჩევნების წინა დღეები.
№ 9 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში.





„სამეული"

ო. ქოჩაკიძე,

ი. ჩიკვაიძე,

ა. სლოვინსკი.

● კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის კედლის მოხატულობა — „თეატრის მხატვრობა".

● „თეატრის მხატვრობის" ფრაგმენტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი-აკადემიკოსი,
სოციალისტური შრომის გმირი
გრიგოლ აბაშიძე.

სიმონ კილაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ორსართულიან სახლს და მის ერთადერთ სადარბაზო კარში შეიპარა.

პირველ სართულზე პირველსავე კარზე დააკაკუნა. კარი თმაჩამოშლილმა და მკლავებაკაპიწებულმა ქალმა გააღო. ხნიერი ქალი თანაგრძნობის ღიმილით შეეგება. გარეგნობის ერთგვარი აღწერით ადვილად მიუხვდა, ვისაც დაბნეულად კითხულობდა უცხო ყმაწვილი.

— მაღლა, ზუსტად ჩვენ თავზე ცხოვრობს.

სტუდენტმა მინიშნებული კარის წინ უკვე მეტისმეტი ღელვა იგრძნო, მაგრამ უკან აღარ დაიხია. კაკუნზე არავინ გამოეხმაურა. მიხვდა, რომ ულონო, თითქმის უხმო კაკუნი გამოუვიდა და ათრთოლებული თითები ცოტა უფრო გაბედულად მიახალა კარს. ოთახში მძიმე ფეხის ხმამაც აღარ დააყოვნა.

წინასწარ ქუდმოშვლეპილი სტუდენტი თავდახრილი თითებს იმტვრევდა და ცოტა ცახცახებდა კიდეც. მის წინ ღია კარში კი უკვე ვილაც იდგა. სტუდენტმა პირველად მამაკაცის მძიმე ფეხსაცმლები დაინახა, ხოლო როცა თავი შიშით ასწია, მოულოდნელობისგან სახტად დარჩა.

როგორც რამდენიმე დღის წინ დაღმართზე, ისევე ერთ ფეხზე უფრო დანდობილი, ცერად ჩარჭობილი მარგილივით იდგა და ისევე დამცინავად, ზანტად ილიმებოდა სახით ნაცნობი ფუმფულა ახალგაზრდა კაცი. მხოლოდ საშინაო ტანსაცმელში უფრო ზორბა და მეტი ხნისა ჩანდა.

— ჩვენ ზარიც გვაქვს, — ცივად აცნობა მან დაუპატიჟებელ სტუმარს, მაგრამ მაინც შეიპატიჟა, — მობრძანდით.

— არა, ბოდიშს ვიხდი, — ელექტროზარის თეთრი ღილაკის დანახვაზე უფრო შერცხვა სტუდენტს, — შემშლია.

— არ შეგშლიათ, — ისევ ზარმაცად ამოღეჭა უჟმურმა კაცმა და ვეება ტანის მთელი სიმძიმე მეორე ფეხზე გადაიტანა. შემდეგ კვლავ ისე, როგორც დაღმართზე, ზურგი უჩვენა და თვალს მიეფარა.

გახევებული სტუმარი კი მარტო შერჩა ღია კარის ზღურბლს. იდგა, როგორც მეოცნებე მოგზაური და მკვლევარი საიდუმლოებით მოცული მღვიმის წინაშე, რომელსაც მრავალი დაბრკოლების გადალახვის ფასად მიაგნო, მაგრამ ზედ მიზნთან გამბედაობამ უმტყუნა.

— გამარჯობა, სტუდენტო! — თითქოს მართლაც მღვიმის სიღრმიდან მოესმა მას მოულოდნელად ნაცნობი წკრიალა ხმა და სტუდენტი სიხარულმა წელში გამართა.

მის წინ ნახევრად ბნელი პატარა დერეფანი იყო, საიდანაც ორი კარი ალბათ ორ ცალ-ცალკე ოთახში გადიოდა.

გულმოცემულმა სტუდენტმა ერთი მათგანი ალალბედზე შეაღო და კოხტა მოწყობილ საამოდ სუფთა თეთრ ოთახში დაინახა, ვისაც ეძებდა. ქალიშვილი ფანჯარასთან მიდგმულ საწოლზე ქათქათა ლოგინში იწვა და შემაღლებულ ბალიშზე მარამსავით ლამაზად გაშლილ თმას თითებით ივარცხნიდა. სტუმარს მადლიერი და გახარებული შეხვდა.

— გამარჯობა, სტუდენტო!

— გამარჯობა...

— მე ლია მქვია.

— მე—დიტო.

— გამარჯობა, დიტო!

— გამარჯობა, ლია!

დიტო საწოლის შორიახლო უხერხულად იდგა. თვალს ქალიშვილის მშვენიერი თმა არ ეთმობოდა, მაგრამ მალიმალ გვერდითი ოთახის კარისკენაც გაურბოდა შიშნარევი მზერა. კარი ყრუდ იყო გაკეტილი. სტუდენტს მაინც ისეთი გრძნობა სდევდა, რომ უჟმური ახალგაზრდა კაცი საიდანღაც დამცინავად უყურებდა. როგორც იყო სიმხნევე მოიკრიბა.

— მე ჩემს აღმართზე ყველა საამური შრიალი უცებ მომესპო. მათ შორის შენი კაბის შრიალიც.

— სხვა კიდევ რა შრიალი გესმოდა?

— ჭადრისა, მაგალითად, აგრეთვე ბალახისა.

— ერთ მშვენიერ დღეს კი ერთად დაგიდუმდნენ?

— ზამთარმა დაადუმა. უფრო ზუსტად, ფოთოლიც გააქრო და ბალახიც.

შადრევნის იმედიღა მქონდა, მაგრამ ისიც გაიყინა.

— შადრევანი, ანუ წყალიც შრიალებს?

— მე თუ მინდა, შრიალებს.

— კიდევ თუ რამე შრიალებდა?

— კიდევ, ჩემი წიგნები შრიალებდა. მაგრამ ახლა დამზრალი თითებით ველარ ვფურცლავ. შენ ავად ხარ, ლია?

— თითქოს. ყოველ შემთხვევაში, ისე არა, რომ ამდენ ხანს ვიწვე. მაგრამ ჩემ ძმასთან რას გააწყობ! ერთიც რომ წამომახველოს, მაშინვე განგაშს ატეხს. ლოგინში ჩამაწვენს და ექიმებს დამახვევს. ტანად კია გოლიათი, მაგრამ მშიშარაც არის.

— ის არის შენი ძმა? — გაკვირვებული თვალი ისევ ყრუდ გაკეტილი კარისკენ გაუსხლტა დიტოს.

ლიამ ღიმილით თავი დაუქნია. ხმა კი მეორე ოთახიდან მოვიდა.

— კეთილი ინებეთ და ხმადაბლა ილაპარაკეთ, თორემ თითოეული სიტყვა მესმის. მოსმენის სურვილი კი, ასე გასინჯეთ, არ მაქვს.

— ძალიან მკაცრია, არა? — დაუწია ხმა სტუდენტმა.

— სასტიკი, საშინელი, აუტანელი! — ჩუმად გაანდო ლიამ და უცებ გულიანად გაიცინა. — ვინ არის მკაცრი? ჩემი სოსო და სიმკაცრე?! ბავშვივით გულჩვილია, ყვავილივით სათუთია, საერთოდ, მეტისმეტად კეთილი ადამიანია.

— ჩვენთან, უნივერსიტეტში რას აკეთებს შენი ძმა? — საწოლთან მუხლი მოიყარა და ჩურჩულით ჰკითხა დიტომ.

—უნივერსიტეტში? — გაუკვირდა ლიას. — მგონი ფეხიც არასდროს შეუდგამს. სხვაგან სწავლობდა და სხვაგან მუშაობს.

— მაშ მე რომ... — გაოცდა სტუდენტიც. — იცი, რომ რამდენიმე დღის წინ სწორედ უნივერსიტეტის წარმომადგენელივით გამაფრთხილა შენმა ძმამ, ლექციებს ნუ აცდენო.

— ვიცი. — იგრძნობოდა, რომ ძმის მეგობრული წყრომისა არ ეშინოდა ლიას, მაგრამ სტუმრის ხათრით ისიც ჩურჩულზე გადავიდა. — ჩვენი აღმართ-დაღმართიდან რომ დილაობით სოსოს ფანჯარაში ხელს ვუქნევდი, თვითონ მას შენთან შევუნიშნივარ. მერე, მე რომ ლოგინში ჩამაწვინა, შენ კი ფანჯრიდან ისევ ჩვენ ადგილზე გხედავდი და ვწუხდი, ერთ დილით, სწორედ იმ დილით, შენ რომ გაგაოცა, მოულოდნელად ასე მითხრა. დაღმართზე პატარა ბაღში ვილაც ყმაწვილი ყურყუტებს და შენ მასთან რამეს ხომ არ დამაბარებდიო? მეც დავაბარე! და, აი, თავის ძმას ვინ არ აქებს და ჩემიც ხომ კარგი ყოფილა?

— შესანიშნავი ყოფილა! — თავი სიზმარში წარმოიდგინა დიტომ.

— ამიტომაც ასე მეგობრულად ვცხოვრობთ და დედა და მამა სოფელში ჩვენი მხრივ დაწყნარებული არიან. სოსო მაინც ჩემზე უფრო ყურადღებიანია. სამაგიეროდ, სამსახურის ხაზით რომ დიდი ხნით სადმე გაგზავნონ, სანამ ასე უცოლოა, მარტოს არ გავუშვებ და მეც თან წავყვები.

— მერე, მე? — წამოსცდა სტუდენტს და სახე ისე შეეშალა, თითქოს ლიას ძმა უკვე ბარგს კრავდა და ლიაც მასთან ერთად შორეულ გზას ადგა.

— შენ რა, შენ კარგი ბიჭი ხარ, — კინაღამ ქოჩორზე მიეფერა მას ლია, — ფეხი არ დაგიდვია ჩემთვის და არაფერი.

— ფეხს დაგიდებ კი არა, — მხურვალედ მიაგება სიტყვა სტუდენტმა, — ფეხქვეშ გაგეგები, ოღონდ შენ ისევ ირბინე და იშრიალე ჩვენს აღმართ-დაღმართ ქუჩაზე.

— კარგი, დიტო. — თავი დაუქნია ლიამ და კუთხეში პატარა წიგნის კარადაზე ანიშნა. შენ კარგი კითხვა გეცოდინება. ამოარჩიე რომელიც გინდა და წამიკითხე. მე ლექსების მოსმენა მიყვარს.



დიტომ წიგნი მკვირცხლად მოარბენინა, მაგრამ ერთხელაც შეურვებით გახედა სოსოს ოთახის კარს.

— რომ გაჯავრდეს?

— არ გაჯავრდება. ესიამოვნება კიდეც. — დაამშვიდა ლიამ, — ახლა ინჟინერ-გამომგონებელი გულჩვილი გოლიათი ჩვეულებრივად რთულ ნახაზებს ჩაკირკიტებს და ასეთ დროს ძალიან უყვარს პოეზია და მუსიკა. გისმენ, დიტო!

— რაკი სტუმრად გვეწვია, ბარემ პალტოც გაიხადოს! — კვლავ გაისმა მეორე ოთახში ინჟინერ-გამომგონებლის ზანტი ხმა. — როცა ჩაი ისურვოთ, დამიძახეთ და მოგართმევთ.

ქალიშვილმა და სტუდენტმა შეთქმულებივით გაიცინეს.

შემდეგ დიტომ პალტო სკამზე მიაგდო, თვითონ კი საწოლის წინ ჯეჯიმზე მოიკალათა და წიგნი გადაშალა.

დიდხანს იშრიალა საყვარელი პოეტის წიგნმა.

დიტო მართლაც შესანიშნავად კითხულობდა და ოცნებაში წასული ქალიშვილიც საგანგებო გულისყურით უსმენდა.

მეორე ოთახში კი ლიას ძმას ხმაც აღარ ამოუღია.



აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე ორ ათეულ წელზე მეტია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. მას მუშაობა მოუხდა მარად დაუვიწყარ ადამიანებთან ნიკო მუსხელიშვილთან და ილია ვეკუასთან და ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას დღესაც, როცა აკადემიას სათავეში უდგას ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

სერგი დურმიშიძე მეცნიერების ისეთ ყოვლისმომცველ დარგს მეთაურობს საქართველოში, როგორიც ბიოქიმიაა. მან შექმნა შესანიშნავი ინსტიტუტი, სადაც ზრდის და დიდი მეცნიერებისაკენ უკაფავს გზას ნიჭიერ ახალგაზრდობას.

მე ყოველთვის მაოცებდა სერგი დურმიშიძის ენერგია და ორგანიზებულობა, მან კარგად იცის შრომის ფასი და მუშაობა მუდამ ისე აქვს აწყობილი, რომ არც სამეცნიერო კვლევას სცდება და არც აკადემიას აკლებს შრომასა და ზრუნვას.

სერგი დურმიშიძე ფართო ინტერესების მქონე მოღვაწეა, იგი ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების სიახლეთა კურსშია მუდამ და შეუნელებლად ადევნებს თვალს მათ მიღწევებს.

... წლები სწრაფად გარბიან, ჩვენი ახალგაზრდობა უკვე წარსულია და აგერ, თურმე ჩვენთვის შეუმჩნევლად, სერგი დურმიშიძე 70 წლის გამხდარა, შეუმჩნევლად, რადგანაც ჩვენი იუბილარის არც ძალ-ღონეს შეტყობია, არც ქვეყნის სასიკეთოდ შრომასა და გარჯას და არც სიცოცხლის ხალისს, რომლითაც იგი დღესაც სავსეა.

ვუსურვებ ძვირფას მეგობარს — მეცნიერსა და მოღვაწეს, კიდევ ბევრი მიეცეს ჩვენი მეცნიერებისათვის და თავადაც ბევრი სიხარული მიეღოს ცხოვრებისაგან კიდევ მრავალი წლის განმავლობაში.

**გრიგოლ აბაშიძე**

# მეცნიერი და მოქალაქე

ვინც შეხვედრია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს სერგი დურმიშიძეს, ვისაც უსაუბრია მასთან, მოუსმენია მისი მოხსენებები ან ლექციები, მიუღია მისგან მეგობრული თუ მამაშვილური რჩევა-დარიგება, შეუძლებელია არ მოიხიბლოს ამ დიდებული ადამიანის პიროვნებით. მასში ჰარმონიულადაა შერწყმული ფართო დიაპაზონის მეცნიერის, საუკეთესო პედაგოგის, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელის, საუკეთესო ორგანიზატორისა და საზოგადო მოღვაწის თვისებები. თავმდაბლობა, გულისხმიერება, რაც ასე დამახასიათებელია სერგი დურმიშიძისათვის, აახლოვებს მას თანამშრომლებთან, თავისი ქვეყნის შრომისმოყვარე ხალხთან.

სერგი დურმიშიძე ცნობილი საბჭოთა ბიოქიმიკოსია. მის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში მცენარეთა ბიოქიმიის და ტექნიკური ბიოქიმიის საფუძვლის ჩაყრა-განვითარება. სერგი დურმიშიძის გამოკვლევები სპირტული დუღილის ბიოქიმიაში, მცენარეთა ორგანული მჟავების, აზოტოვან ნივთიერებათა და მეორეული წარმოშობის ნაერთთა ბიოქიმიაში, შრომები, რომლებიც შეეხება მცენარეთა მიერ უცხო ნაერთთა შეთვისებისა და გარდაქმნის გზებს, ფართოდაა ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

სერგი დურმიშიძემ პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში პროფესორ ვარლამ ღვალაძის ხელმძღვანელობით გადადგა, შემდეგ მუშაობდა აკადემიკოს დიმიტრი პრიანიშნიკოვის და პროფესორ ვლადიმერ ბუტკევიჩის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სერგი დურმიშიძის მეცნიერული ურთიერთობა აკადემიკოსებთან ალექსანდრე ოპარინთან და ანდრეი კურსანოვთან, რომელთა სკოლის ღირსეულ წარმომადგენლადაც იგი ითვლება.

სერგი დურმიშიძის პირველი გამოკვლევები სპირტული დუღილის ბიოქიმიის სხვადასხვა საკითხს შეეხებოდა. მისმა შრომამ „რძის მჟავას გენეზისი ბუნებრივი ალკოჰოლური დუღილის დროს“ 1937 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კონკურსზე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრემია დაიმსახურა.

1962 წელს სერგი დურმიშიძე მოხსენებით გამოდის მევენახეობა-მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესზე, რომელიც თბილისში ჩატარდა. მოხსენება შეეხებოდა სპირტული დუღილის ძირითად, მეორეულ და გარეშე პროდუქტების გარდაქმნის გზებს. მომხსენებლის მიერ მიღებულმა უახლესმა მონაცემებმა დიდი გამოხმაურება პოვა ტექნიკური ბიოქიმიის მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტთა შორის.

აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე მრავალი საერთაშორისო კონგრესის მონაწილეა, მისმა მოხსენებებმა ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ესპანეთში, კანადაში, საფრანგეთში და სხვაგან მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სერგი დურმიშიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ვაზის ბიოქიმიური შესწავლის და მეღვინეობის მეცნიერული საფუძვლების დამუშავებაში. მან პირველმა შეისწავლა ვაზის და ღვინის მთრიმლავი და საღებავი ნივთიერებების ქიმიური ბუნება, მათი წარმოშობა-გარდაქმნის გზები. პირველმავე წამოაყენა ჰიპოთეზა ფენოლურ ნაერთთა არომატული ბირთვის გახლეჩის და ღია ჯაჭვის მქონე ნაერთებში მათი გარდაქმნის შესაძლებლობის შესახებ, რაც შემდგომში ნიშანდებული ნაერთების გამოყენებით ექსპერიმენტულად იქნა დადასტურებული და საყოველთაოდ აღიარებული.

სერგი დურმიშიძის მონოგრაფიას „ვაზის და ღვინის მთრიმლავი ნივთიერებანი და ანტოციანები“, რომელიც გამომცემლობა „ნაუკამ“ გამოსცა 1955 წელს მოსკოვში, დღესაც ფართოდ იყენებენ საბჭოთა და უცხოელი მკვლევარები, აგრეთვე მეღვინეობის დარგის სპეციალისტები.

1967 წელს სერგი დურმიშიძე მთავარი პლენარული მოხსენებით გამოდის ენოლოგთა მეორე მსოფლიო კონგრესზე ქალაქ ბორდოში, საფრანგეთის ნაციონალური გამოკვლევების ინსტიტუტში. მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ახალ დებულებებს მაღალი შეფასება მისცეს ვაზისა და ღვინის ბიოქიმიის დარგში მსოფლიოს წამყვანმა მკვლევარებმა.

აკადემიკოს სერგი დურმიშიძის გამოკვლევები შეეხება აგრეთვე ეთერზეთოვანი მცენარეების შემადგენელ კომპონენტთა მეტაბოლიზმს. მან პირველმა დაადგინა, რომ მცენარეები ჰაერიდან ითვისებენ ტერპენებს და აწარმოებენ მათ ღრმა გარდაქმნას.

სერგი დურმიშიძემ წვლილი შეიტანა მცენარის ცალკეულ ორგანოთა: ფესვის, ღეროსა და ნაყოფის ბიოქიმიურ თავისებურებათა გამოკვლევაში. მის მიერ დადგენილია ცალკეულ ორგანოთა როლი მცენარის საერთო მეტაბოლიზმში, აგრეთვე ღეროს ფლოემის და ქსილემის ურთიერთკავშირი ორგანულ ნივთიერებათა გადაადგილების დროს.

მეცნიერმა დაახლოებით 20 წლის წინ გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მცენარეებს უნდა გააჩნდეთ ატმოსფეროდან მავნე აირების შეთვისებისა და გარდაქმნის უნარი, რაც შემდგომში მის მოწაფეებთან ერთად ჩატარებული ფართო გამოკვლევების შედეგად მთლიანად დადასტურდა. დადგინდა მცენარეების მიერ ალიფატური რიგის ნახშირწყალბადების შეთვისების და გარდაქმნის გზები. გამოკვლეულია პოლიციკლური ნახშირწყალბადების, მათ შორის, კანცეროგენული ნაერთის ბენზ(ა)პირენის მეტაბოლიზმი მცენარეებში. ასევე დადგინდა, რომ სხვადასხვა სახეობის მცენარეები განსხვავდებიან ატმოსფეროდან ჰაერის დამაჭუჭყიანებელი ნაერთების შეთვისებისა და გარდაქმნის უნარით, რაც საფუძვლად დაედო რეკომენდაციებს სამრეწველო ქალაქების და რაიონების გამწვანებისათვის მცენარეთა სახეობების შერჩევისას. ამ საკითხებისადმია მიძღვნილი სერგი დურმიშიძის 1975 და 1977 წლებში რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული შრომები: „ზოგიერთი ეგზოგენური ნაერთის არომატული ბირთვის გახლეჩა მცენარეების მიერ“ და „ატმოსფერული ჰაერის ზოგიერთი დამაჭუჭყიანებლის მეტაბოლიზმი მცენარეებში“, აგრეთვე

1979 წელს ს. დურმიშიძის რედაქციით და მონაწილეობით გამოცემული შრომათა კრებული „ბიოსფეროს ქიმიური დამაჭუჭყიანებლების მეტაბოლიზმი მცენარეებში“. ეს შრომები დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ს. დურმიშიძე სამეცნიერო და ორგანიზაციულ მუშაობას კარგად უხამებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი უკვე 50 წელია დაუღალავად ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. მას ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1929-31 წლებში, მოუხდა ლექციების კითხვა არაორგანულ ქიმიაში. 1937-57 წლებში იგი კითხულობს ორგანული ქიმიის, ბიოქიმიისა და ენდოქიმიის კურსს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; მესამე ათეული წელია მას მიჰყავს მცენარეთა ბიოქიმიისა და ტექნიკური ბიოქიმიის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე.

ფასდაუდებელია აკადემიკოს ს. დურმიშიძის ღვაწლი ქართველ ბიოქიმიკოსთა მეცნიერული კადრების მომზადების და საქართველოში ბიოქიმიური კვლევის სამეცნიერო ცენტრის შექმნის საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, 1956 წელს მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ლაბორატორიის ბაზაზე, 1971 წელს შეიქმნა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, რასაც უდიდესი ენერგია შეალია პატივცემულმა მეცნიერმა. საბჭოთა კავშირში ასეთი პროფილის სამეცნიერო დაწესებულება პირველია. ინსტიტუტის ძირითად ბირთვს აკადემიკოს ს. დურმიშიძის აღზრდილი მკვლევარები შეადგენენ. ინსტიტუტი კოორდინაციას უწევს რესპუბლიკაში მიმდინარე კვლევით სამუშაოებს მცენარეთა ბიოქიმიაში, აწყობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებს. ყველა ამ საქმის სულისჩამდგმელი ამ ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ს. დურმიშიძეა.

განსაცვიფრებელია აკადემიკოს ს. დურმიშიძის შრომისუნარიანობა. მიუხედავად ორგანიზაციული და საზოგადოებრივი საქმეებით დიდი დატვირთვისა, იგი ახლაც ატარებს ექსპერიმენტულ მუშაობას. მას აქვს ლაბორატორიული მუშაობის მაღალი კულტურა, ცდებს აყენებს ფაქიზად და დიდი გულისყურით, ასეთსავე მუშაობას მოითხოვს ახალგაზრდებისაგან.

კიდევ რამდენიმე სიტყვა აკადემიკოს ს. დურმიშიძეზე, როგორც ორგანიზატორზე და საზოგადო მოღვაწეზე. 1944-45 წლებში იგი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, 1943 წლიდან 1954 წლამდე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორი, 1954-1955 წლებში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი. 1955 წელს მას ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და 17 წლის მანძილზე მუშაობს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად, 1972 წლიდან დღემდე კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია.

აკადემიკოსი ს. დურმიშიძე ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა, იგი 1954 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატია, საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ამ საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს, საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი, — აი არასრული ნუსხა იმ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო და საზოგადოებრივი დავალებებისა, რომელთაც ჩვეული მხნეობითა და პასუხისმგებლობით ასრულებს ჩვენი სახელოვანი იუბილარი. ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის სერგი დურმიშიძე დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ოთხი ორდენით და მედლებით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

დღესაც, როდესაც შესანიშნავ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს სერგი დურმიშიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, იგი კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს.

ვუსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე და კვლავაც ჩვეული, ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ!

**ოთარ ხაჩიძე,**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.



სურათებზე:

- ნიკოლოზ მუსხელიშვილი და სერგი დურმიშიძე.
- სერგი დურმიშიძე ბიოქიმიურ ლაბორატორიაში.

# ადამიანი — ჩირაღდანი

ბიბლიოთეკა

ჭირსა თუ ლხინში ვყოფილვარ უშანგი ობოლაძესთან ერთად და არაერთხელ მომისმენია მისი იმედიანი ხმა. თავისი წერილებისა და ნაშრომების პირველი მკითხველიც გავუხდივარ; წუთისოფლის სიკეთეზეც გულახდილად გვისაუბრია და მის სიავეზეც; საქმიან ვითარებაშიც მიხილავს და ნადიმზეც; შორეულ გზებზეც გვივლია მეგობართა სიხარულისა თუ შეჭირვების გასაზიარებლად.

მომხიბვლელია მისი ოქროპირობა! სულაც არა ჰგავს იმ ორატორებს, უცხოურ სიტყვათა კორიანტელს რომ აყენებენ და ამაოდ ლამობენ მსმენელთა გაოგნებას...

იანვრის ერთ საღამოს შინ ვესტუმრე უშანგი ობოლაძეს.

მოვინახულე უფროსი მეგობარი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუცხრომელი საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა და კვირადღეც კი არა ჰქონდა მშვიდი და თავისუფალი!

ნეტავ როგორა გრძნობს თავს ამჟამად, როგორც პერსონალური პენსიონერი?

როგორ ეჩვევა სახლის კედლებს და მყუდროებას?

წინათგრძნობამ გამიმართლა: ვიხილე კაცი, კვლავ საერო საქმეებში ყელამდე ჩაფლული, კვლავ მხნე და უწინდებურად მოუსვენარი, კვლავ საყვარელი მოწაფეებისა და მეგობრების ყურადღებით გარემოსილი.

ტყიბულიდან ახალჩამოსული მასპინძელი, სადაც მას გულთბილად შეხვდნენ თანამემამულენი, დინჯად მოგვითხრობს ოკრიბის ისტორიას.

წიგნები, წიგნები, წიგნები... და არაფერი ისეთი, რაც შეიძლება ფუფუნების საგნებს მიეკუთვნოს. რა უბრალოდ და მამაპაპურად ცხოვრობს ცნობილი პროფესორი ზოვრეთის ქუჩაზე, სახლში, რომელსაც დღემდე ცენტრალური გათბობაც კი არ გააჩნია!

აგერ უზარმაზარი ხელნაწერები შრომებისა, მზის შუქი რომ არ უხილავთ ჯერჯერობით. ახლა კი დრო აქვს და მოცალეობა, გადახედოს ამ ხელნაწერებს, გამოსაცემად მოამზადოს.

— იქნებ ავტობიოგრაფია დაგვიწერო ჩვენი ჟურნალისათვის? — ვეუბნები თითქოს სხვათაშორის, ის კი ეშმაკური ღიმილით მიპასუხებს:

— ერთადერთი, რაც კი აკლია „დროშას“, ნამდვილად ჩემი ბიოგრაფია გახლავთ!

ნუ დაველოდებით ჩვენი მეცნიერისა და პედაგოგის ავტობიოგრაფიას, მე თვითონ შეგახსენებთ უშანგი ობოლაძის ცხოვრების რამდენიმე შტრიხს.

რკინიგზელ პლატონ ობოლაძის ოჯახმა სამი შვილი გაზარდა. სამივე ღირსეული მოღვაწე გამოვიდა. უშანგის და — ნინო ობოლაძე-საჯაია საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელია, ხოლო ძმა — დიმიტრი ცნობილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ალპიური კლუბის დირექტორი.

უშანგი დაიბადა ხაშურში, ბავშვობა კი ქუთაისსა და სოფელ ხრესილში გაატარა, — როგორც თვითონ ამბობს ხუმრობით, — ქუთაისსა და ხრესილის ღერძზე, გელათისა და კურსების გავლით.

ამაოდ როდი ჩაუვლია ბაბუას ოჯახში გატარებულ დღეებს, — დაკვირვებია ოკრიბელი გლე-



უშანგი ობოლაძე

თარხან არჩვაძის ფოტო

ხკაცის ცხოვრებას, შეუსისხლხორცებია სიყვარული მაშვრალი ადამიანისა და გარჯისა, შეუყვარებია ბუნება...

— იქ ვიქეც კაცად! — ამბობს უშანგი ობოლაძე, — კარგა ხანს მეგონა, ხრესილში ამჟამად ელექტრომავლების ქვესადგური რომ არის და მის პირდაპირ ჩამოქცეული კლდეა, იმაზე მაღალ კლდეს ვერ იპოვიდა ძეხორციელი... მე ძალიან მესახელებოდა, რომ ჩემი სოფლის, ხრესილის ბრძოლაში დაამარცხა სოლომონ პირველმა ოსმალთა ლაშქარი და იმ დროიდან ოსმალობა სამუდამოდ განიდევნა იმერთა მიწა-წყლიდან...

უშანგი მისთვის ჩვეული მანერით, ცალთვალდახუჭული ცერად შემომცქერის და ღიმილით მეუბნება:

— იცით, ხუტა ბატონო, განსაკუთრებით რევოლუციამდე და მის შემდეგაც კი, ჩვენ, ოკრიბლებს, დონ კიხოტებს გვეძახდნენ და ეს ალბათ იმიტომ, რომ ლამანჩელი იდალგოსავით ოკრიბლები გულუბრყვილობით გამოირჩევიან.

იგი განაგრძობს: ისე, კაცმა რომ თქვას, გულუბრყვილობა სჯობია ფალსტაფობას, თუნდაც იმიტომ, რომ ფალსტაფობა შეგიძლია ისწავლო და სწავლობენ კიდეც, გულუბრყვილობა კი, თუ სათანადო საფანელი არა გაქვს, სწავლით არ შეიძინება.

მერე იგი წელში გასწორებული, სერიოზული ტონით განაგრძობს, — ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავნი, როგორც წესი, ვალამაზებთ ცხოვრებას და საამისოდ ხშირად იუმორსაც ვიყენებთ, უამისოდ ნამეტანი ძნელი იქნებოდა სიცოცხლე. შენი მჯერა, მაგრამ, საერთოდ, მწერლები, განსაკუთრებით მაშინ, როცა პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს სადავეები გიჭირავთ ხელში, არა ხართ სანდო ხალხი. და თუ არ გამამხელ, ქუთაისხრესილის ღერძის შესახებ შელამაზებულ-შეხუმრებულად აი რას გეტყვი: ქუთაისმა ჩემში აღზარდა იმერული ფოლკლორით შეზავებული მეტყველების კილო; გელათმა თავისი აკადემიით, წიგნების შთაგონებული სიყვარული (ჩვენ ისტორიულად გელათის გლეხები ვიყავით, თუმცა ბაბუა დიმიტრი ამბობდა — გლეხი რა სიტყვაა, გელათის კაცები ვართო); ხრესილმა კი დონ კიხოტის თარგზე გამოჭრილი წამოსასხამი მომარგო.

მე უშანგის ეს ალსარება დღის სინათლეზე გამოვიტანე, როგორც მისი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნიმუში... არა, სიტყვა არ გამიტეხია, რადგან მისთვის პირობა არ მიმიცია, არ გაგამხელ-მეთქი.

1929 წელს, თბილისის უნივესიტეტის დამთავრების შემდეგ, უშანგი ობოლაძე დაინიშნა ქუთაისის ოლქის განათლების განყოფილების რწმუნებულად მაშინდელი ოკრიბის რაიონში, რომლის ცენტრადაც სოფელი ხრესილი ითვლებოდა.

რაღაც ერთ წელიწადში რაიონის ცენტრი ტყიბულში გადაიტანეს და ოცი წლის ახალგაზრდა განათლების განყოფილებას ჩაუყენეს სათავეში. ოთხი მღელვარე და ნაყოფიერი წელი მიუძღვნა ამ სარბიელს და არა მარტო პედაგოგიური საზოგადოების, არამედ რაიონის მშრომელთა დიდი სიყვარულიც მოიხვეჭა.

როგორც თავად ხშირად იმეორებს, ტყიბულის წლებმა ასწავლეს მას ყურადღების გონივრული თანაფარდობით დანაწილება, მისი სწორად ორგანიზება და უნარიანად წარმართვა პრაქტიკულ საქმეთა გადასაწყვეტად. რაც მთავარია, იმ დროს მთელი გულით შეიყვარა ბავშვები, მასწავლებლები, შეიყვარა სკოლა, რომლის თავდადებულ სამსახურსაც ხუთი ათეული წელი შეალია. თავის წერილში ტყიბულელი კოლეგებისადმი უშანგი ობოლაძე მადლიერების გრძნობით იგონებს მასწავლებლებს, რომლებიც მაშინ ტყიბულის რაიონის სკოლებში მუშაობდნენ და რომელთაგან ბევრს ჟამთა სიავემ დაყვავილებაც არ დააცალა.

უშანგი ობოლაძე ყოველთვის თვლიდა და თვლის, რომ სწორედ სკოლა წარმოადგენს ერის, ხალხის საერთო ინტელექტუალური განათლებულობის დონის უტყუარ სარკეს. მაგრამ სკოლის ღირსებას განსაზღვრავს არა სასკოლო შენობა, მისი ეზო-გარემოს, მისი კაბინეტ-ლაბორატორიების მორთულობის სიუხვე, არამედ მასწავლებელი, თავისი ზნეობრივი სისპეტაკით და ცოდნისადმი შთაგონებული სიყვარულით. ზემოხსენებულ წერილში ღია ადამიანური გულითადობით, რაც გულთბილი იუმორით არის შეზავებული, საოცარი მომჭირნეობით შერჩეული ფრაზებით ხატავს დიდი ხნის წინათ გაცნობილ ადამიანთა პორტრეტებს, აი, მაგალითად:

კონსტანტინე გრძელიშვილი — ბრწყინვალე მათემატიკოსი, ჯიბით ცარცი რომ დაჰქონდა და სადაც ბრტყელ ქვას ნახავდა, ზედ ფორმულებს აწერდა... იგი სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა;

შალვა ცაგარეიშვილი — ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი, შემდგომ საუცხოო სპეციალისტი ქიმიის სწავლების მეთოდიკის სფეროში, მრავალი ნაშრომის ავტორი, მოწამებრივად რომ დაასრულა სიცოცხლე — უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვისას, როგორც ოპონენტი, კათედრასთან მივიდა და მოცელილივით დაეცა, იქვე დალია სული;

ეზეკი როინიშვილი — ციხია-ბობოთის საერისთავოს მწიგნობართუხუცესი, მხნე და დაუღალავი, ფიზიკურად ისე გამხდარი, რომ არავინ იცოდა, რა აცოცხლებდა ამ კაცს (იცოცხლა კი 95 წელიწადს და ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა);

ერმის ბუბაშვილი — მაღალწიგნიერი, მართალი და პრინციპული ადამიანი, ვისაც ყოველთვის აკვირვებდა და ახლაც აკვირვებს, თუ რატომ არაა საწუთრო მოწყობილი ისე, როგორც უნდა იყოს...

დასახელებულ პედაგოგებზე და იმათზეც, რომელთა სახელ-გვარების დამახსოვრება ვერ მოვასწარი, უშანგი ობოლაძე უთუოდ დაწერს თავისებურ ტკბილ მოგონებებს. მკითხველი კი მიმიხვდება: აქ იმიტომ მოვიყვანეთ ეს დახასიათებანი, რომ ხმამაღლა ვადიდოთ უშანგი ობოლაძის კიდევ ერთი თვისება — კეთილ ადამიანთათვის კეთილი სიტყვა არ ენანება!

ისე, ვინც ამ მხრივ უშანგი ობოლაძეს მიბაძავდა, ღმერთმანი, ამაღლდებოდა მოძმეთა თვალში, დაკარგვით კი არაფერს დაკარგავდა!

ტყიბულში ოთხი წლის მოღვაწეობის შემდეგ უშანგი ობოლაძე საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში დაინიშნა, ჯერ კადრების მომზადების სამმართველოში, ხოლო 1937 წლიდან დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1940 წლიდან იგი ამავე სამმართველოს უფროსია და განსახკომის კოლეგიის წევრი.

1950 წლიდან სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობასთან დაკავშირებით განთავისუფლდა განათლების სამინისტროდან და მუშაობა დაიწყო თბილისის უცხოურ ენათა ინსტიტუტში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ.

1959 წელს, უშანგი ობოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, სადოქტორო დისერტაციასთან ანგარიში საბოლოოდ გაასწორა, ხოლო 1961 წელს მას მიენდო საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილის საპატიო მოვალეობა.

დაიწყო პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდი, რამაც უშანგი ობოლაძეს დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოუპოვა. ამ ავტორიტეტსა და პოპულარობას ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული საზოგადოებაში ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა განათლების სახალხო კომისარიატში დაიწყო მუშაობა.

თითქოს ძნელი არ იყო, უშანგი ობოლაძის მოღვაწეობის ეს პერიოდი ჩვენვე აღგვეწერა, მაგრამ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ძვირფასი დოკუმენტი — დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის მოგონება და, ბუნებრივია, მკითხველისათვის ამ მოგონების ფრაგმენტების გაცნობა ვარჩიეთ:

„ორთავენი ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეები ვიყავით, და მახსოვს, როგორც უფროსკლასელი, როგორი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს უშანგის სწავლა-განვითარებას, როგორ მეამაყებოდა მისი წარმატებები!

შემდეგ ჩვენი გზები დიდი ხნით გაიყარა და მხოლოდ 1944 წელს კვლავ შევხვდით ერთმანეთს; აქედან დაიწყო უშანგისთან უახლოესი თანამშრომლობის დაუვიწყარი ათწლეული, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. ეს იყო საქართველოს განათლების სამინისტროში. უშანგი ობოლაძე ხელმძღვანელობდა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების სამმართველოს, სამინისტროს ინტელექტუალურ ცენტრს, მის სულსა და გულს, მისი ყველა უმნიშვნელოვანესი ჩანაფიქრისა და წამოწყების ლაბორატორიას; ამავე დროს ხსენებული სამმართველოს მხრებზე იყო სკოლების ინსპექტირების, სასწავლო-მეთოდური ინსტრუქტაჟის და ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი; ამ სარბიელზე ბრწყინვალედ გამოვლინდა უშანგი ობოლაძის ბუნებრივი ნიჭი, როგორც სახალხო განათლების თეორეტიკოსისა და ორგანიზატორისა, სკოლის სამაგალითო ხუროთმოძღვრისა და მშენებლისა.

ღრმა მადლიერების გრძნობით ვიხსენებ უშანგისთან თანამშრომლობის იმ წლებს. მოხდა ისე, რომ წინა წლებში ჩემი ძალები და ყურადღება ძირითადად სხვა დარგს დაეთმო. სხვაგან მივიტანე ჩემი შესაძლებლობანი და როცა რესპუბლიკის სახალხო განათლების ხელმძღვანელის პოსტზე აღმოვჩნდი, დასამალი არ არის, ცოდნა-გამოცდილება, რასაც ეს რთული და უკიდეგანო სამოღვაწეო ასპარეზი მოითხოვდა, არ გამაჩნდა; ამ პირობებში ფასდაუდებელი იყო კომპეტენტური რჩევა-საუბრები, ნამდვილი „პედაგოგიური ლექციები", რომელთაც დაუღალა-

ვად მანვდიდა მაშინ უშანგი ობოლაძე (მარიამ ბურჭულაძესთან ერთად) მრავალსაათიან მეგობრულ საუბრებსა და დისკუსიებში სახალხო განათლების საკითხებზე, ჩვეულებრივ ღამის საათებში...

არ შეიძლება აღუნიშნავი დარჩეს უშანგი ობოლაძის მომდევნო დროის, ახლა ფართოდ აღიარებული დამსახურება, როგორც მეცნიერ-მკვლევარისა და უმაღლესი სკოლის მოღვაწისა; ბრწყინვალე მონოგრაფია ჟან-ჟაკ რუსოს შესახებ უშანგი ობოლაძეს აყენებს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის მკვლევართა პირველ რიგებში“.

ასეთივე მაღალი აზრისანი არიან უშანგი ობოლაძის უანგარო მოღვაწეობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თამარ ლაშქარაშვილი და საქართველოს განათლების მინისტრი, პროფესორი ოთარ ქინქლაძე, ნორჩი თაობის დიდი მოამაგე მარიამ ბურჭულაძე და საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე...

აი კიდევ ერთი ამაღელვებელი დოკუმენტი — დეპეშა, საქართველოს კომკავშირის სახელოვან აღზრდილსა და თავის დროზე მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ჩვენი ახალგაზრდობის უსაყვარლეს მეგობარს ნინო ჟვანიას რომ ეკუთვნის:

„გილოცავ იუბილეს, ჩემო ძვირფასო ძმაო უშანგი, და კვლავაც დიდ წარმატებებს გისურვებ ჩვენი ბავშვებისა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მე და შენ კი ვიცით, მაგრამ მინდა შენმა თანამშრომლებმაც შეიტყონ, რომ შენ ჩემთვის და ჩემი თაობისათვის მაშინაც დიდი ავტორიტეტი და ჭკუის დამრიგებელი იყავი, როცა კომკავშირის ცეკაში ვმუშაობდით.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და შენს გონებასა და გამოცდილებას თოვლის გუნდასავით ემატებოდა ცოდნაცა და სიბრძნეც. ახლა შენი სახით ჩვენს ბედნიერ ქვეყანას განათლების სისტემის დიდი ბერმუხა ჰყავს და მინდა დიდ ხანს არ დაჭკნეს მისი ფოთლები, დიდხანს არ დაზრეს მისი ფესვები, დიდხანს ამაყად იდგეს ტოტებგაშლილი ხე შთამომავალთა საჩრდილობლად.

ისე, მაინც როდისღა მოგეპარა, ბიჭო, ეს წყეული 70 წელი. მე დამეჯერება და გეტყვი: არ გეტყობა ეს ასაკი, ნეტავ წლები ხომ არ მოგიპარავს?“

პროფესორ უშანგი ობოლაძის ცხოვრება დასტურ უმშვენიერესი მაგალითია სახალხო განათლების ყველა მსახურისათვის, ხოლო მისი ძვირფასი გამოცდილება მომავალშიც ყოველმხრივ უნდა გამოიყენოს ქართულმა საბჭოთა სკოლამ.

რაც შეეხება უშანგი ობოლაძის ლიტერატურულ-მწიგნობრულ საქმიანობას, მისი წიგნები ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი, განსაკუთრებით აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი შრომები.

რომ ვემშვიდობებოდი, უშანგიმ დამასწრო, — ალბათ გაინტერესებთ, არა, რას ვფიქრობ სახვალიოდ? წლების განმავლობაში ერთი ცოდვა მაწევს თავზე — უნდა დავამთავრო ჩემი შრომა ჟან-ჟაკ რუსოზე, ეს აუცილებელია იმისათვის, რომ სულიერი სიმშვიდე დავიმკვიდრო... კიდევ სხვა? მინდა ჩემს ნარკვევებს ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისტორიის შესახებ ერთიანი ქუდი დავახურო... მერე? მერე აღარ ვიცი, ხომ გაგიგონიათ ანდაზა — კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო!

...და მუდამ ანათებდეს ეს ადამიანი-ჩირაღდანი!

ხუტა ბერულავა.

რაბი

დავით

ილიანი

# პილიგრიმი და ვარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასირიული ლეგენდა

თარგმნა მარინე ფერიშვილმა.



ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ცხოვრობს და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ასირიელი პოეტი რაბი დავით ილიანი.

მისი პირველი ლექსები 1929 წელს გამოქვეყნდა თბილისში. რაბი დავით ილიანის ნაწარმოებები იბეჭდება მოსკოვში, კიევში, ბაქოში, საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ამას წინათ დასავლეთ გერმანიაში გამოვიდა ასირიელი მწერლების კრებული, რომელშიც რაბი დავით ილიანის რამდენიმე ნაწარმოებია შეტანილი.

თბილისში მცხოვრები ასირიელი პოეტი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევა. მან ასირიულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, უკრაინულად აამღერა ასირიელი პოეტების ნაწარმოებები.

რაბი დავით ილიანი, როგორც თვალსაჩინო ასირიელი ეროვნული პოეტი, დასახელებულია 1971 წელს მოსკოვში გამოცემულ „მცირე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში“.

რაბი დავით ილიანის ლექსები ირანის გაზეთ „ათურშიც“ იბეჭდება. ამას წინათ თეირანში გამოვიდა „ასირიული ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეული. ამ კრებულში, რაბი დავით ილიანის სხვა ნაწარმოებებთან ერთად, დაბეჭდილია მისი მოთხრობის „პილიგრიმი და ვარდის“ ნაწყვეტი.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მთლიანად გაეცნონ ამ ნაწარმოებს.

შორეული გზებით მიდიოდა მოხუცი პილიგრიმი — თეთრწვერა ბრძენი — დაღლილი და ღონემიხდილი ხანგრძლივი ხეტიალისგან.

მისი ტვირთი იყო მხოლოდ ერთი ფუთა, რომლითაც მიჰქონდა მცირე საგზალი და დედისგან ნაჩუქარი ერთადერთი მარცვალი, — თესლი წითელი ვარდისა. ვერ მიმხვდარიყო, რატომ აჩუქა დედამ სწორედ ეს მარცვალი? ნუთუ არ მოეპოვებოდა მას რაიმე უფრო ძვირფასი?

ეს კითხვა აწამებდა მოხუცს, მაგრამ რადგანაც დედისეული საჩუქარი ყველაფერზე სანუკვარია, წმინდად ინახავდა სახსოვარს და ყოველთვის ფრთხილობდა არ დაეკარგა იგი. თითქოს მუდამ ყღერდნენ საანდერძეო სიტყვები:

— შვილო, ყოველგვარი ცოცხალი მარცვალი უკეთესია, ვიდრე მარცვალი მკვდარი ოქროსი ან ძვირფასი ქვისა!

ახლაც ასეთი ფიქრებით მიიწევდა წინ შეუსვენებლად, მიდიოდა თაკარა მზეში მტვრითა და ოფლით შეწუხებული. მაგრამ საით მიდიოდა, მაშინაც უცნობი იყო ყველასთვის და დღესაც, თვითონაც არ იცოდა, საით ისწრაფოდა.

მისი გზა უვალი იყო. მოხუცს უნდა გადაელახა მთები, ხეობები და დაბლობები. სავალს იგი თვითნებურად აჰყავდა ხან მაღლა, სულ მაღლა, ხან კი უშვებდა ძირს, წყნარ, სწორ ზედაპირამდე. მაინც მუხლჩაუხრელად მიილტვოდა წინ. მიდიოდა... მიდიოდა...

მზე და მთვარე თანამგზავრობას უწევდნენ მოხეტიალეს, რომელიც მხოლოდ ერთი გზით მიდიოდა, არ უხვევდა არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, რომელმაც იცოდა ერთადერთი პირდაპირი გზა, მხოლოდ ერთადერთი...

მაგრამ აი, ერთ უღელტეხილზე გზას თითქოს სამანი დაედო: წინ ბრინჯაოს კარიბჭიანი მაღალი კედელი აღიმართა. მოგზაური მიუახლოვდა, დიდხანს აკაკუნებდა, გასძახოდა, მაგრამ ამაოდ: არავინ ჩანდა კარის გამღები. მერმე ვაივაგლახით შეყო ხელი ღრიჭოში, ძლივს გადასწია მძიმე ურდული, გააღო ჭიშკარი და...

ჰოი, ღმერთო! მის წინ გადაიშალა წალკოტი, რომლის შუაგულში მხოლოდ ერთი ძველი, ქამგარდასული გუმბათოვანი ტაძარი იდგა. მოხუცმა ბაღი მოიარა, ტაძარშიც შეიხედა, მაგრამ არსად არავინ იყო. ბოლოს ჩაუყვა პატარა ხევს, სადაც ანკარა ნაკადული მიჩუხჩუხებდა. პილიგრიმმა ჩამოიბერტყა მტვერი, მივიდა ნაკადულთან, ხელ-პირი დაიბანა, პეშვით შესვა ცივი წყალი, შვებით ამოისუთქა, მწვანე ბალახზე დასასვენებლად წამოწვა და ფიქრებში ჩაიძირა:

— ნეტავ, რა ბაღია?

ვინ დაამუშავა იგი ასე ფაქიზად და გულმოდგინედ? და, რაც მთავარია, ვინ ფლობს მას?

ბოროტია იგი? კეთილია? ვინ იცის?

დიდხანს ბობოქრობდა მისი აზრების ზღვა. ამასობაში მზე დასალიერს უახლოვდებოდა, კრეფდა თავის უკანასკნელ სხივებს და ემზადებოდა მაღალი მთების მიღმა გადასაკარგად.

სულ მალე მოხუც პილიგრიმს აბრეშუმივით რბილ ბალახზე ტკბილად ჩაეძინა.

ეზმანა:

ბაღში შემოვიდა ხანდაზმული ქალი, რომელსაც ხელში ჩირაღდანი ეპყრა. ის ანათებდა ბაღს, დადიოდა ვაზებს შორის და ამოწმებდა თითოეულ ყლორტს. შემდეგ ხევს ჩაჰყვა და მოხუცს მიუახლოვდა.

ქალის წინ მუხლი მოიყარა პილიგრიმმა:

— ო, დიდებულო, მითხარ, ვინა ხარ? სამყაროს მზე, ვარსკვლავი თუ მთვარე?

— მე ქალთა შორის ყველაზე უბრალო ქალი ვარ;

ერთი იმათგანი — ვინც ხნავს, თესავს და იმკის;

ერთი იმათგანი, ვისაც ოფლით უყვარს მიწის გაპოხიერება;

ვინც მხოლოდ შრომაში ეძებს ბედნიერებას!

— მე მახარებს ამის მოსმენა, — თქვა პილიგრიმმა, — იყავ ბედნიერი შენი შრომისმოყვარეობით. მითხარ, რომელმა ქარმა გადმოგაგდო ამ უკაცრიელ ბაღში?

— მე ამ ბაღის მფლობელი ვარ. ეს ჩემი მამისეული სახლია, ჩემი კერაა, შოთა!

— მართლაც ჯადოსნური კერაა! — მოწიწებით წარმოთქვა გაოცებულმა მოხუცმა, როცა ქალმა მკაფიოდ ახსენა მისი სახელი. ღრმა ფიქრებში წასული იგი წამიერად დადუმდა.

— აქ გავიზარდე, აქ გავატარე ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება, აქ ვიგემე საუკუნეთა სიტკბო და სიმწარე, რომლის მსგავსი, მერწმუნე, არავის არასოდეს განუცდია.

— დაე ასე იყოს, მაგრამ კიდევ რა ასაზრდოებს ამ სიყვარულს?

— სული ჩვენი მამებისა, მტვერი ჩვენი დედებისა, რომლებიც განისვენებენ იმ ტაძარში, ცივ მიწაში...

— ო, ეს რა მესმის?! დედის გული! მე მზად ვარ, ავენთო და დავიფერფლო მის წინაშე!

— ეს სამსხვერპლო დედაშენისა შენი სამშობლოა, შოთა, შენ ჩემი მესხი ხარ, მაგრამ დიდი ხანია მამული მიატოვე და დაივიწყე!

— არა, ეს მართალი არ არის! — შეჰყვირა მოხუცმა, — მე სამშობლოს სიყვარულმა მაქცია მთელ სამყაროში მოხეტიალე პილიგრიმად. ვეძებ ხედვას ჩემი თვალებისას, მზეს ჩემი სიცოცხლისას, მსურს მივაგნო, ჩავიკონო და დავტკბე მისი ვნებით, მსურს დავთვრე მისი ყვავილების ნექტარითა და სურნელებით, მსურს ისინი ჩემი ცრემლებით დავნამო. ვეძებ... ვეძებ... მაგრამ არ ძალმიძს მისი პოვნა... შენ კი საყვედურით ბრალს მდებ? არ არის ეს მართალი!

— ამბობენ: „თევზი ზღვაშია, მაგრამ ვერ ხედავსო ზღვას“, შენც ასე ხარ; განა ნაპოვნს დაეძებენ? ჩანს, ძნელია შენი დარწმუნება!

— რად მინდა დარწმუნება, როცა მე თავად ვეძებ... ვეძებ...

— მაშ ეძიე, რამდენიც გსურს, ეძიე, მხოლოდ ერთის ცოდნაა საჭირო! ცოდნა იმისა, რომ მზე წყვდიადი არ არის!

— რა თქმა უნდა, მზე წყვდიადი არ არის! ის აბრწყინებს მთელ სამყაროს და, ალბათ, სადღაც ჩემს სამშობლოსაც...

— ასეა, შოთა, ასე! შენ ეძიე, ჭეშმარიტება ყოველთვის წინაა. ის იტყვის მართალს შენს შესახებ, შენი მოუსვენარი შრომისა და სათუთი გულის შესახებ!

— მითხარ, რატომ ხარ მარტოდმარტო ამ ვრცელ ბაღში?

— მე მყავდნენ ქალ-ვაჟები, რომელთა დიდება ქვეყნად ქუხდა, მაგრამ მტერი... შოთა... მზაკვარი მტერი... სისხლიანი მტერი...

— ვაი, მე შენს ჯადოსნურ თვალებში ღრმა დედობრივ ზრუნვასა და ჭაბუკური დღეების წმინდა და ცეცხლოვან სიყვარულს ვხედავ. თმა კი ჭაღარაა, ძალიან ჭაღარა. მისი სითეთრე ერთვის შენი სახის ნაოჭებს, გამოხატავს მრისხანებასა და უდიდეს მწუხარებას. იქნებ იგი გარდასულ დღეთა ბედნიერ სიბრძნეზე ლაღადებს?

— თუ ეს ასეა, დაე შენი თვალები გემსახურონ შენც ისევე, როგორც სიბრძნე ჩემი — მე. ამიტომ გთხოვ, ერთი წუთით დახუჭო თვალები, მაშინ ჩვენ უკეთესად გავუგებთ ერთმანეთს.

მოხუცი წამიერად ხუჭავს თვალებს. მის წინ საოცარი სანახაობა იშლება:

...ერთმანეთის მიყოლებით ციალებენ ნაკადულებითა და ჩანჩქერებით დასერილი აყვავებული მთები და ხეობები, ხავერდოვანი მდელოები და მინდვრები, ქარვის თავთავებით შემკული ყანები. მთის ფერდობებზე ჩანან ხილის ბაღებში ჩაძირული ლამაზი სოფლები, სადაც ბავშვები ერთობიან, დარბიან, ხარხარებენ, საქანელაზე ირწევიან და ჩოგანს თამაშობენ.

აი, აყვავებული ხეობები და დაბლობები დაკლაკნილი მდინარეებით, ლურჯი ზღვა ლამაზი ყურეებითა და სიცოცხლისმოყვარე ქალაქებით. ერთმანეთში შერეული და გადახლართული მურტის, დაფნისა და ლიანის ბუჩქები ქმნიან მარა-

მხატვარი თენგიზ სამსონაძე



დიული სიმწვანის ფონს ქალაქებისა და მყინვარების გარშემო. ციტრუსები, მაგნოლიები, ოლეანდრები თავიანთი ნაზი სუნთქვით ნექტრის კეთილსურნელებას ჰფენენ გარემოს.

მოქეიფეთა მხიარული ხმები ისმის ბაღებიდან—სადღაც ქამანჩასა და ჩონგურზე ამღერებენ, ცეკვავენ; სადღაც დაირისა და ზურნის ხმაზე ჭიდაობენ.

ყვირილსა და ხარხარზე მოხუცმა თვალები გაახილა:

— მოგწონს? — შეეკითხა ქალი.

— ო, უკეთესს ვერაფერს ნახავს ადამიანის თვალი, მაგრამ დასანანია, რომ მეტი ვეღარ ვიხილე!

— რადგან ასეა, დახუჭე თვალები!

მოხუცმა კარგის მოლოდინით მორჩილად დახუჭა თვალები. მაგრამ, ვაი, ამჯერად მის წინ ფაფარაშლილი ზღვა აბობოქრდა.

შორს, ჰორიზონტთან იკრიბებიან შავი ღრუბლები. ელავს, ცა გრიალებს, ზღვა თავისი ამღვრეული ზედაპირით იბერება, ქაფდება და შავ ღრუბლებთან შეერთებული, საშინელ ქარიშხალს წარმოშობს.

უცებ შორეული ჰორიზონტიდან ამოდიან შავი ურდოები გრძელხალათიანი და ჩალმებიანი მეომრებისა. ისინი, მშვილდ-ისრებითა და ფარ-შუბებით შეიარაღებულნი, თავს ისე ესხმიან ქვეყანას, როგორც კალია — აყვავებულ ყანას; დარტყმას დარტყმაზე აყენებენ წარღვნას გადარჩენილ ქალაქებსა და სოფლებს, უმოწყალოდ ანგრევენ და წვავენ ყველაფერს, რაც ადამიანის დალოცვილი მარჯვენით შექმნილა, ხოლო მოსახლეობას დაუნდობლად ჟლეტენ.

ცოცხლად დარჩენილ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ატყვევებენ, ძალით ერეკებიან, ცემენ მათრახებით და მიჰყავთ, ნაწილი აქაფებული ზღვისკენ, ნაწილი — მაღალი მთების გავლით, შორეულ და გრძელ გზაზე, თვალმიუწვდომელ სიშორეში. შესაბრალისად ტირიან ბავშვები. მათ სასოწარკვეთილ ტირილზე მოხუცმა თვალები გაახილა. საზარელი ჩვენებისაგან შეძრწუნებულს მრისხანედ წამოსცდა: „ბარბაროსები!“

— ა, გაახილე თვალები? — თქვა ქალმა,—აბა, რას იტყვი?

— საშინელებაა, საშინელებაა! მე სულაც არ მსურდა მეხილა ასეთი სიმწარე. მაგრამ წინასწარმეტყველი მოწყალეა: უსამართლობა არ იმალება, ბოროტებას ექნება დასასრული!

— ისევ შენი ფილოსოფია. რა ძნელია შენთან ლაპარაკი! აბა, ერთხელ კიდევ დახუჭე თვალები!

მოხუცი დაემორჩილა. ამჯერად მას უფრო საშინელი რამ ეზმანა.

დანგრეული, გადამწვარი ქალაქები და სოფლები, გაუკაცრიელებული მინდვრები და ვენახები. მდუმარებას ბორკილი გაუყრია გარემოსათვის. აღარ ისმის ხალისიანი სიმღერები. ჩაკვდარა სიცოცხლე. პირქუში და ჩუმია ირგვლივ ყველაფერი. იფერფლებიან ნახევრად ჩამწვარი სახლები. კვამლი მბრუნავ სვეტებად ნელა და ნაღვლიანად მაღლდება და იკარგება სადღაც შორეთში. ავისმომასწავებლად ემხობიან ნახანძრალი კერები პატარა გორაკებად, რომლებიც ჰგვანან ძველ სამარხებსა და ყორღანებს. გლოვა ფართოდ შლის ქვეყნის თავზე თავის თალხ ფრთებს. მზე მქრქალად და გულგატეხილად იცრიცება.

— შენ ისევ გძინავს? — გაეხმიანა ქალი.

მოხუცმა თვალები გაახილა. მან ტანჯვით შეხედა ქალს, ამჯერად, მანდილოსნის თვალები ციური ვარსკვლავებივით ენთნენ. სახე გასთეთრებოდა. იგი იდგა ფერმკრთალი... ფერმკრთალი... ვერ შეიკავა მწუხარება და წარმოთქვა:

— მიხვდი, ჩემო კარგო შოთა, დედა, რომელმაც ნახა ამდენი უბედურება, რა თქმა უნდა, მე მემგვანება... ახლა კიდევ შეეხები ჩემს სიბრძნეს? რა შუაშია სიბრძნე მაშინ, როცა დგას სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. შენ ძველბურად ცხოვრობ უზრუნველი მეფეებისა და თავადების განცხრომის სულით; ისინი შენთან ერთად ეწაფებოდნენ ნადიმებს და მხიარულებას თავიანთ დიდებულ პალატებსა და სასახლეებში, შენ გადიდებდნენ თავისი სახელისა და დიდებისათვის. მაგრამ გაქრა ის დრო, წარვიდნენ ის ადამიანები, გაიარეს მშვიდობის ქარავნებმა და ყველაფერი უკან დარჩა. შეხედე ამ ბაღს, ამ ვაზებს, ამ ხეებს. ისინი ჩვენი დედებისა და მამების ხელითაა შექმნილი, ამ ჩემი ტანჯული ხელების ნაყოფია. საჭიროა მათი დაცვა, მათი გადარჩენა ბარბაროსებისა და მკვლელებისაგან. ამაშია სიყვარულის ძალა, სიბრძნის ძალა. გაიგე?

— დიახ, გავიგე! მაგრამ ამას ბოლო ექნება?

— რა თქმა უნდა! დრო ხომ ისტორიისთვის იღვწის.

— გაუგებარია, — შეეპასუხა მოხუცი.

— რაკი აგრეა, ერთხელაც დახუჭე თვალები!

გულაჩუყებულმა მოხუცმა თვალები მილულა. მის თვალწინ აყვავებული ქვეყნის პანორამა გადაიშალა:

შორიდან გამოკრთიან მაღალი მთები და აყვავებული ველები, რომლებსაც მოფენილა ცხვრის ფარები და ნახირი; ერთმანეთს მისდევენ ბარაქიან ვენახებსა და ბაღებში ჩაფლული დიდი სოფლები. აი, ზღვის ყურეც ოქროს მბრწყინავი ჯაჭვებითა და ბრინჯაოს თაღებით. ზღვისპირეთიდან თვალსაწიერამდე გადაშლილა ნარინჯოვანი ველი.

სკვერები, პარკები სემირამიდას დაკიდებული ბაღებით ხიბლავენ მნახველებს. მთის თხემებზე „მთვარის ხეივნები“ ძველი ციხესიმაგრეებისა და ტაძრების გარშემო ქმნიან სიმწვანის ნამგლისებურ თაღს, რომელიც დამშვენებულია ჭრელი ყვავილებითა და ნაირფერი შუქურებით. აი, საჰაერო გზები და მაღალი ტრასები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები მიფრინავენ მთვარისაკენ, სხვა პლანეტებისკენ და უკანვე ბრუნდებიან.

ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, აკადემიები — მზე ადამიანის აზროვნებისა — თავიანთი არქიტექტურული გაფორმებით ქმნიან ანტიკური სამყაროს ბერძნული სტილის მთელ ანსამბლს...

დიდებული თეატრები და მუზეუმები, მდიდარი ხელოვნების გალერეები — ყველაფერი ეს, როგორც ნეტარების ერთიანი სამყარო, მირაჟივით მიედინება მოხუცის თვალწინ. ის კი უმზერდა ხარბი თვალებით და მოჯადოებულს სურდა კვლავ ეხილა ეს მომხიბვლელი ჩვენება, მაგრამ ქალმა გამოაფხიზლა:

— კმარა, შენი თვალები დაიღალნენ ამდენი ჭვრეტით.

— ო, რა საოცრებაა! მიპასუხე, სიზმარში ვარ? — წარმოთქვა მოხუცმა.

— არა, ეს სიზმარი არაა, ესაა ჩვენი მომავალი, შოთა, მომავალი აი ამ ბაღისა, მაგრამ შენ არ გიწერია მისი ნახვა!

— ოჰ, ძალზე დასანანია! მითხარ, რატომ არ მიწერია მისი ნახვა?

— შენ პილიგრიმი ხარ, დროის მორჩილი, მოხველ და გაივლი, აქ არ დარჩები, არ შესვამ ამ ბაღის ელექსირს!

— დავრჩები, თუ ნებას დამრთავ. მზად ვარ შენს ფერხთა მტვრად ვიქცე!

— არა, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია! დრო ბრძენია და ჩვენ არ გვემორჩილება! ხვალ წახვალ, ვინ იცის საით, თვალდახუჭული უცხო მხარეს ჩაქრები და თანამემამულეთაგან ვერავინ გაიგებს, სად იქნება შენი სამარე.

— ნუთუ სოფელი ასე უწყალოა?

— ჰო, ჩემო ძეო, ჩემო შოთა! ხვალ ცისკრისას დატოვებ ჩემი ბაღის კარიბჭეს! მაგრამ გთხოვ, შემისრულე ერთი თხოვნა, რომელიც კეთილშობილ ქმნილებად დარჩება შენგან შენს სამშობლოს!

— ოჰ, ღმერთო, ჩემს სამშობლოს! — შესძახა მოხუცმა.

— დიახ, ჩემსა და შენს სამშობლოს!

— თამამად მითხარ, მე მას აუცილებლად შევასრულებ, გესმის, შევასრულებ!

— წასვლისას, გთხოვ, ბაღის რომელიმე კუთხეში სამახსოვროდ ჩარგე რაიმე მცენარეული — ყლორტი ან თესლი, ახლა მშვიდობით, მიიღე ჩემი ლოცვა, იყავ ბედნიერი!

...პილიგრიმს გაეღვიძა.

შუაღამე იყო. ირგვლივ წყვდიადი იდგა, არსად ნაპერწკალი, არსად სინათლე... მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდნენ შორეულ სივრცეებში. მხიარულად მოციმციმე მთვარე მიცურავდა ეთერის ფრთებით, თვითნებურად ეწოდა ვარსკვლავებს და ეალერსებოდა მათ თავისი ნაზი ამბორით.

მოხუცი გაოგნებული იყო. რა ნახა მან: სიზმარი, მირაჟი თუ მოჩვენება? ყველაფერი ნათელ ფერებად აღუდგა მეხსიერებაში და ერთი დასკვნა გააკეთა, რომ ყველაზე წმინდა იყო ქალის უკანასკნელი სიტყვები, გამოხატული გულითად თხოვნაში — დარგოს რაიმე მცენარეული. პილიგრიმს არ შეეძლო არ შეესრულებინა ეს თხოვნა.

მაგრამ რა დარგოს? საიდან მოიტანოს თესლი? სად მოძებნოს მცენარეული ყლორტი ან რაიმე ნერგი? მას ხომ არაფერი გააჩნია ფუთის გარდა?

მოხუცი დიდხანს ფიქრობდა. ბოლოს გაახსენდა დედისეული მარცვალი. გადაწყვიტა, წითელი ვარდის ეს მარცვალი დაეთესა ბაღში, როგორც სამარადისო სახსოვარი...

განთიადისას, სინათლის პირველ სხივებზე, მან ნაკადულთან ამოთხარა კვალი, ჩაფლა მარცვალი და თქვა:

— დაე, ამ ბაღის სადიდებლად გაიზარდოს წითელი ვარდი!

დაე მისი ედემის სურნელება მოეფინოს ყველა მხარეს!

დაე ახალმა თაობებმა აქ გავლისას შესვან ამ ნაკადულის წყალი და იგემონ წითელი ვარდის სურნელება!

დაე ბულბულმა ყოველთვის უგალობოს თავისი ტკბილი სიმღერა უთვალავ ვარდს!

დაე მისი კეთილსურნელება მოედოს სამყაროს!

მერე მოხუცი ნელა გავიდა ბაღიდან, კარიბჭე მიიხურა და წავიდა თავისი გზით... საით მიდიოდა ეს უცნობი გზა, სამწუხაროდ, არავინ იცის. ის დარჩა საიდუმლო გამოცანად. მოხუცის ხელით დარგული წითელი ვარდი კი ისევ ცოცხალი და ნორჩია; კიდევ უფრო აყვავებულს ადამიანები დღემდე შეჰხარიან და უვლიან.

ამბობენ, ეს სანუკვარი წითელი ვარდი ქართველი ხალხის ბაღში ხარობსო.



მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა






# «ფეხბურთის მომავალი? მეტი ვარსკვლავი»

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩში (ჰამბურგში) თბილისის დინამოელთა გამოსვლის შემდეგ, ერთ-ერთ ინტერვიუში, კევინ კიგანმა დავით ყიფიანის თამაში შეაქო. შინ დაბრუნების შემდეგ ყიფიანმა, რომელმაც არაფერი იცოდა ამის შესახებ, ხოტბა შეასხა ამ კლუბისა და ინგლისის ნაკრების უძლიერეს მოთამაშეს, რომელიც ზედიზედ ორჯერ აღიარეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად.

როცა „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ თბილისში ჩამოვიდა დინამოელებთან საპასუხო მატჩის სათამაშოდ, დაიბადა იდეა, მოგვეწყო ამ ორი ოსტატის დიალოგი. კიგანი და ყიფიანი ტოლები არიან (ინგლისელი რამდენიმე თვით უფროსია); ერთიც და მეორეც ფეხბურთის სკოლაში ეზიარა (კიგანი ღიმილით იგონებს, რომ მან მეკარეობით დაიწყო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ კარი მისთვის „მაღალი“ იყო); ორივე 19 წლისა მოხვდა მაღალი კლასის გუნდში (მანამდე კიგანი ოთხ წელიწადს გამოდიოდა მეოთხე ლიგაში, ყიფიანი კი სამ წელიწადს თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში“). ბოლოს, და ეს, კაცმა რომ თქვას, მთავარი გახლავთ, ორივე დაახლოებით ერთნაირ ამპლუაში გამოდის და მათი თამაში ბევრად განსაზღვრავს გუნდის იერსა და სტილს...

კიგანთან პირველი შეხვედრა — აეროპორტში — მოკლე გამოდგა:

— საუბარში სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, თუ მწვრთნელი მომცემს საამისო ნებართვას.

სხვა გამოსავალი არ იყო და მივმართე გიუნტერ ნეცერს, კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, წარსულში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილ ფეხბურთელს. ნეცერმა იმედი გამოთქვა, რომ აზრთა ამგვარი გაცვლა-გამოცვლა კეთილ სამსახურს გაუწევს ფეხბურთს.

და აი, მეორე დღეს, დილით, მე და ჩემი ორი „მოხალისე თანაშემწე“ (ძმები დავით და ალექსანდრე ჩიკვაიძეები — სტუდენტი და მოწაფე, ინგლისური ენის ჩინებული მცოდნენი, ფეხბურთის ტრფიალნი, ახლა კი მსოფლიო ვარსკვლავთან შეხვედრის მოლოდინით გახარებულები და აღგზნებულები) სასტუმრო „ივერიაში“ კიგანის ნომერში ვიყავით.

პირველი შეკითხვებით მხოლოდ კიგანს მივმართეთ.

**— რამ გამოიწვია თქვენი გადასვლა „ლივერპულიდან“ „ჰამბურგში“?**

— „ლივერპული“ ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ ვიგრძენი, რომ „ჭერს“ მივაღწიე და ველარ გავაუმჯობესებდი ვერც საკუთარ თამაშს, ვერც გუნდისას. ამავე დროს მჯეროდა, ჯერ არ ამომეწურა ჩემი შესაძლებლობანი. და აი, გადავწყვიტე ახალ ვითარებაში გამომეცადა თავი. დრომ გვაჩვენა, რომ სწორად მოვიქეცი — შეცვლა სასიამოვნოც აღმოჩნდა და სასარგებლოც. რატომ მაინცდამაინც „ჰამბურგი“? ჯერ ერთი, ვვარაუდობდი, რომ აქ უფრო გამოვიჩენდი თავს. მეორეც, გამოგიტყდებით, ამ კლუბმა მეტი გადამიხადა.

**— რა განსხვავებაა ინგლისურ და დასავლეთგერმანულ ფეხბურთს შორის?**

— ჩემს სამშობლოში და დასავლეთ გერმანიაში ფეხბურთი სრულიად სხვადასხვაა — თამაშიც განსხვავებულია, გუნდებიც, მოთამაშეებიც, და, თქვენ წარმოიდგინეთ, სტადიონებიც და მაყურებლებიც. მაგალითად, გერმანული გუნდები ერთი თავისუფალი მცველით თამაშობენ, ინგლისელები კი ასეთ ფეხბურთს არ მისდევენ; გერმანელები პირად მეურვეობას სცემენ პატივს, ინგლისელთათვის კი ეს მხოლოდ ეპიზოდია. ერთი სიტყვით, განსხვავებებზე დიდხანს შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ ერთს აღვნიშნავ — აქაც და იქაც ყველაზე მეტად მოთამაშის ინდივიდუალური ოსტატობა ფასობს.

**— რა აზრისა ხართ საბჭოთა ფეხბურთელებსა და თბილისის „დინამოზე“?**

— საბჭოთა ფეხბურთელების წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ მომიხდა თამაში ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც კიევში იასპარეზა. თბილისის „დინამომდე“ კი საბჭოთა კლუბებს არ შევხვედრივარ. ამ კლუბებზე შთაბეჭდილება შემექმნა კიევის „დინამოს“ მიხედვით, რომლის თამაშიც ნანახი მქონდა. აქვე გეტყვით, რომ ეს გუნდები სრულიად არ ჰგვანან ერთმანეთს, შედარება კი თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდაა. იგი, საერთოდ, ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, ვისთანაც კი მითამაშია. თუ კიევის „დინამომ“ შთაბეჭდილება მოახდინა როგორც კარგად აწყობილმა მექანიზმმა, რომლის სვლებში ბევრი რამ წინასწარ შეიძლება განჭვრიტოს კაცმა, თბილისელებს, ყიფიანისა და მაჩაიძის წყალობით, ძალუძთ უამრავი თავსატეხი ამოცანის წინაშე დაგაყენონ. ვეთანხმები ჩემს ლივერპულელ მეგობრებს, რომლებმაც მითხრეს, თბილისელთა თამაში არის რაღაც იტალიურიც, სამხრეთამერიკულიც, ესპანურიცო...

ყველა მომდევნო შეკითხვაზე უკვე ორივე ფეხბურთელმა გვიპასუხა. მაგრამ, ვიდრე ამ შეკითხვებზე გადავიდოდეთ, სიტყვას ვაძლევ ყიფიანს:

— ერთობ საწყენია, რომ ტელევიზიის უფართოესი შესაძლებლობების მიუხედავად, ძალიან იშვიათად ვნახულობთ გამოჩენილი ფეხბურთელების თამაშს. მართალია, კიგანთან მეტად გაგვიღიმა ბედმა — მინდორზე მასთან შეხვედრამდე ეს შესანიშნავი ფეხბურთელი ტელეეკრანზე ვნახე „ლივერპულის“ მაისურში გამოწყობილიც და ინგლისის ნაკრების შემადგენლობაშიც. კიგანი რომ უმაღლესი კლასის მოთამაშეა, ეს მან ჩვენთან თამაშში დაამტკიცა. მისმა ოსტატობამ გუნდისთვის ყველაზე მძიმე მომენტებში იჩინა თავი: ჰამბურგში კიგანის მიერ გატანილმა ბურთმა მასპინძლები დააწინაურა, თბილისში კი თავისი გოლით მან თამაშში გარდატეხა შეიტანა, როცა ჩვენ ვიყავით წინ — 1:0...

**— სად უფრო მიგიწევთ გული თამაშისკენ — იერიშის წინა ხაზზე თუ მინდვრის შუაგულში?**

**კიგანი:** თუ შინ ვთამაშობთ, მე წინა ვარ — გოლების გატანაა საჭირო, სტუმრად კი უმეტესად სიღრმეში ვთამაშობ, ამასთანავე, შეტევაში ჩართვის ყოველ შესაძლებლობას ვიყენებ. შევნიშნავ, რომ ზუსტად ასევე თამაშობს ყიფიანიც.

**ყიფიანი:** მე იერიშისკენ მიმიწევს გული. ნახევარმცველი არა ვარ, „დუბლ-ვეს“ ინსაიდი ვარ. თუ გახსოვთ, კარგი შუამარბები მუდამ ასწრებდნენ მცველთა დახმარებას და აქტიურადაც მონაწილეობდნენ დაცვითს ოპერაციებში. როცა ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული, ბევრს ვმოძრაობ, მიყვარს ადგილების შეცვლა და კომბინაციებიც ხშირად ჩვენს ნახევარზე იწყება.

**— ძნელდება თუ არა თამაში შეტევისას?**

**კიგანი:** რამდენიმე წლის წინათ მრავლად გვხვდებოდნენ ინდივიდუალური ყაიდის მოთამაშეები, ასე ვთქვათ, ვიწრო სპეციალისტები. დღეს ფეხბურთს სჭირდება ისეთი მოთამაშე, ვინც წინაც ბევრს შრომობს და ზურგშიც. მოთხოვნები, ბუნებრივია, გაიზარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვარსკვლავთა რაგები სულ უფრო მატულობს და ვფიქრობ, მომავალშიც გაიზრდება.

**ყიფიანი:** ორი აზრი არ არსებობს — ცხადია, ძნელდება! ამისი ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ მცველთა რაოდენობისა და დაცვითი ვარიანტების გაზრდა, რასაც თან სდევს თამაშის გამკაცრება. თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ჩვენს საშინაო კალენდარს ეხება. „მცირე ფოლის“ ტაქტიკა, რაც საბჭოთა გუნდებში მსაჯების წაყრუებით გაიფურჩქნა, ზურგიდან ფეხებში ჩავარდნა, წამყვან მოთამაშეებზე აშკარა ნადირობა თამაშს არა მარტო აძნელებს, არამედ ალარიბებს კიდეც. საკმარისი იყო ჰამბურგში შევხებოდი მოთამაშეს, როცა მეტოქე შეტევას ავითარებდა, რომ უმალვე მკაცრი სასჯელი — ყვითელი ბარათი დავიმსახურე. ჩემი მოქმედება განხილულ იქნა არა როგორც უბრალოდ უხეში ხერხი, არამედ როგორც მეტოქის ტაქტიკაში, თამაშის განვითარებაში დაუშვებელი, უკანონო შეჭრა. მე მგონია, ბევრი მხარდამჭერი გამომიჩნდება, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა არბიტრები მიჩვეული არ არიან დარღვევათა ამგვარ კვალიფიკაციას.

**— როგორია, თქვენი აზრით, თამაშის განვითარების პერსპექტივები?**

**კიგანი:** ამ კითხვაზე ნაწილობრივ უკვე გიპასუხეთ. ფეხბურთს სჭირდება ვარსკვლავები. როცა კლუბში ბევრი ვარსკვლავია, მის წინააღმდეგ თამაშიც ძნელია და თამაშის აგებაც. რაც უფრო მეტი იქნება ფეხბურთში თვალსაჩინო ინდივიდუმი, მით უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი იქნება თვით ფეხბურთი.

**ყიფიანი:** თამაში უფრო სწრაფი და მობილური გახდება, მაგრამ მისი არსი და სილამაზე ძველებური დარჩება — მაღალი ტექნიკა და არტისტიზმი. ფეხბურთი უვარსკვლავებოდ რა ფეხბურთია!

**— რა არის მოთამაშე-ლიდერის თავიდათავი — ტექნიკური სრულყოფა თუ ტაქტიკური ალღო?**

**კიგანი:** ძნელი სათქმელია. მინდორზე ჩემს უმთავრეს ამოცანად მიმაჩნია გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე სწორი მოქმედება როგორც ბურთით, ისე უბურთოდ. თუ პირველ შემთხვევაში მე ტექნიკა მომეხმარება, უბურთოდ მოქმედებისას აუცილებელია წინასწარ განჭვრეტის დიდი ნიჭი და საზრიანობა.

**ყიფიანი:** ტაქტიკური სრულყოფა მხოლოდ მოვლენათა განვითარების ამოცანების უნარი როდია, შენ თვითონ უნდა წარმართო ეს მოვლენები საჭირო კალაპოტით...

**— როგორ განიზომება მწვრთნელის როლი თამაშის აწყობაში და როგორია მისი ურთიერთდამოკიდებულება ლიდერთან?**

# დეფიციტოვანი რიგისაც...

გრიგორი გორინი

ეს ამბავი ასე მოხდა: შარშან, შემოდგომაზე კოლმეურნეობამ მივლინებაში გამგზავნა. ჩავედი მოსკოვში, ჩვეულებისამებრ, სასტუმრო „ინტერნაციონალის“ ვესტიბიულში გავჩერდი. აქაურ შვეიცარს ვიცნობ, უწინ აგრონომად მუშაობდა ჩვენთან.

ჩემი ბარგი-ბარხანა მას დავუტოვე და ქალაქში წავედი. გავიარ-გამოვიარე, რესტორან „ბუდაპეშტში“ ვისადილე... მერე გავიფიქრე, დროა, საქმეს ვეწიო, მაღაზიები დავიარო-მეთქი.

ვეწვიე უნივერმაღს. ვხედავ, რიგი გაჭიმულა. გამეხარდა, ესე იგი რაღაცას ჰყიდიან. ხალხი ამბობს: რიგი იმის ნიშანია, რაღაცას იძლევიანო! იმხელა რიგი იდგა, ვიფიქრე, აქ რაღაც განსაკუთრებული იყიდება-მეთქი — იწყებოდა ქუჩიდან, გრძელდებოდა მთელ პირველ სართულზე, მერე, კიბით ზევით მიუყვებოდა და, როგორც ამბობენ, ჰორიზონტს იქით იკარგებოდა.

არც მე დავაყოვნე და დავდექი. ბოლოში მდგარ ქალს ვეკითხები:

— ბოლო ვინ არის?

— მე ვარ! — მეუბნება.

— რას იძლევიან?

— რას იძლევიან, არც მე ვიცი. ისე კი, თქვენ რიგს ნუღა დაიჭერთ, მაინც არ გერგებათო!

— რა ღირს ის, რასაც იძლევიან?

— ოცი მანეთიო!

— ფასს გავუძლებ, დავდგები! — და დავდექი.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემს უკანაც გაიჭიმა რიგი. მესიამოვნა კიდეც შუაზე დგომა — ზურგში აღარ მიბერავდა.

ვდგავარ და ვარ. ოღონდ, რა გასაკვირია და ვკვდები, ისე მაინტერესებს, რისთვის ვდგავარ. ყველანაირ საორიენტაციო შეკითხვებს ვაზნევ ირგვლივ. რისთვის ვდგავართ-მეთქი, ამხანაგებო, დაახლოებით თუ იცით მაინც, რა საქონელია? მსუბუქი თუ მძიმე მრეწველობის ნაწარმია? კაციშვილი ხმას არ იღებს. ნაწილმა, ჩემი არ იყოს, არ იცის, ხოლო ნაწილმა იცის, მაგრამ დუმს, თვალს გვარიდებს, რომ არ გაგვალიზიანოს.

ვდგავარ. ამ დროს ზევიდან გამყიდველი ქალი გადმოდგა და მოგვაყვირა:

— ამხანაგებო, გაითვალისწინეთ, მხოლოდ 15 და 16 ნომრები დარჩა!

რიგი აღელდა, მეც ავღელდი. არ ვიცი, ვარგა თუ არა ეს ნომრები ჩემთვის. „არა უშავს, რაღაცას მოვუხერხებ, პატარა თუ მომივა, გავწელავ, დიდი თუ მექნა, მოვაკლებ; ხოლო რასაც იძლევიან, თუ დენზეა, ტრანსფორმატორს ვიხმარ-მეთქი“, — გავიფიქრე.

ვდგავარ. ერთი საათის შემდეგ ვიღაცამ დაიყვირა: — ასე თქვესო, იმას, რასაც აქ იძლევიან, სადღაც მესამე სექციაში ურიგოდ არიგებენო!

ურიგოდ არიგებენო?! წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა! ოთხივე მხრიდან მომაწვნენ და მესამე სექციისაკენ გამაჩიქჩიქეს. ჯერ გავიბრძოლე, თავის დაძვრენა ვცადე, მერე დავნებდი, ხმა აღარ გამიღია, პირს ვაღებდი ჰაერის ჩასაყლაპად და მთელი ძალა სალაროსათვის შემოვინახე.

ასე აღმოვჩნდი მესამე სექციასთან. იქ დახლს მიმაჭყლიტეს, ამ დროს გამყიდველი მეცა:

— რა გნებავთ?

— რასაც იძლევით!

— მე თქვენ გეკითხებით,— ნერვიულად მიყვირის იგი, — ლურჯი გინდათ თუ ზოლიანი?!

— ქალიშვილო, ლამაზო, კეთილო, თუ ღმერთი გწამთ, დამანახვეთ, რა არის? — შევევედრე.

— არ შეიძლება, შეხვეულია, ყუთში დევს! — მეუბნება იგი.

— მაშინ ორი გამომიწერეთ! — ვეუბნები.

ფული გადვიხადე. კონტროლმა ორი ყუთი მომაჩეჩა და გასასვლელისაკენ დავიწყე გზის გაკაფვა. ერთი ყუთი მემძიმა, მეორე — მემსუბუქა, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს შიგ რაღაც მოძრაობდა... ირგვლივ ისეთი ჭყლეტა იყო, გვერდები გამომითქვიფეს, დიდი ვაჟკაცობა დამჭირდა, რომ არ წავქცეულიყავი. ამ დროს გადამეკიდა ერთი უზბეკი ბერიკაცი:

— ჩემო კარგო, მომყიდე ერთი ყუთი, მეოთხედ ჩამოვედი მოსკოვში მაგისთვის!

— ბიძაჩემო, იქნებ მოგყიდო კიდეც, ოღონდ ჯერ ის მითხარი, შიგ რა დევს?

— რუსულად რა ჰქვია მაგას, არ ვიცი, — მეუბნება მოხუცი. უზბეკურად მეუბნება რაღაცას.

— აბა, ნურას უკაცრავად, მე თვითონ მჭირდება!

ჩამომეკიდა კისერზე, ძირს მჭამს, მევედრება. ის იყო გავიფიქრე, მოვიშორებ-მეთქი და გავიწიე, ამასობაში ფეხი ამიცდა და კიბეზე კისრისტეხით დავეშვი...

გონზე მეორე დღეს საავადმყოფოში მოვედი. პირველად რაც ექთანს ვკითხე, ეს იყო:

— ჩემო დაო, სად არის ის?

— რა ის? — მეკითხება.

— ის, რაც ვიყიდე! — ვეუბნები.

— რა იყიდეთ? — მეკითხება.

— აი, ეგ არც მე ვიცი! — ვეუბნები.

— ჰოდა, როცა გაგახსენდება, მაშინ გაგწერთ! — მეუბნება.

მოკლედ, შინ ერთი თვის თავზე გამიშვეს.

ვზივარ მატარებელში და ვფიქრობ: არც ფული მენანება, არც თავი, იმის დარდი მკლავს, როგორ ვერ გავიგე, რას ჰყიდდნენ-მეთქი?

ვინ იცის, რა იყო იმ ყუთში, როგორ შეატრიალებდა ჩემი ბედის ჩარხს ის რაღაც? ახლა რაღა? იჯახირე უიმისოდ და იყავი!

ის იყო და ის, მას შემდეგ რამდენჯერ ვყოფილვარ მივლინებაში, ქალაქის უნივერმაღს სიახლოვესაც არ გავკარებივარ. ჩემი სოფლის მაღაზია არ მირჩევნია? მივალ, ვიკითხავ: გაქვთ? მიპასუხებენ: არა. არც რიგია, არც ზედახორა.

თარგმნა ლია ღლონტმა.

---

**კიპიანი:** მწვრთნელი გადამწყვეტ როლს თამაშობს განსაკუთრებით ისეთ ფეხბურთში, როგორიც დასავლეთგერმანულია. მწვრთნელის სიტყვა დიდი ძალაა. და მაინც, თამაშს მოთამაშეები კარნახობენ. არ არიან მოთამაშეები — არ არის თამაში. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას, იგი ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენ მოთამაშესთან. თუ კი რაიმეში არის განსხვავება, ეს პირადი დავალებების ხასიათი და რაოდენობა გახლავთ. როგორც წესი, ამგვარ დავალებას ცოტას და, თანაც, იშვიათად მაძლევენ — მე ჩემი უნარისა და შეძლების მიხედვით კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედო.

**ყიფიანი:** გუნდის თამაში, მისი ხასიათი, ნებისყოფა, სტილი — ეს მწვრთნელის პასპორტია. მოთამაშეთა შერჩევა, კოლექტივად მათი შემჭიდროება და ერთ აზრს დაქვემდებარება — ყოველივე ეს მწვრთნელია. რაც უფრო ნაკლები კონკრეტული დავალება ეძლევათ მოთამაშეებს, მით უფრო მეტია შემოქმედების გამოვლენის შესაძლებლობა. ასეთ გუნდზე, ალბათ, ყოველი მწვრთნელი ოცნებობს...

**— დიდ დროს გართმევთ ფეხბურთი? მისგან თავისუფალ დროს რა უფრო გიყვართ?**

**კიპიანი:** ძალიან დიდს — უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მე მხოლოდ ორ კვირას მქონდა ნამდვილი დასვენება, როცა ჩემს მეუღლესთან და გოგონასთან ერთად ვიყავი. დანარჩენ დროს ჩემი ცხოვრება მეტად დაძაბულია, სეზონი კი ევროპაში გრძელია...

**ყიფიანი:** ცხადია, დიდ დროს. თავისუფალ დროს კი ოჯახში, ცოლშვილში (ორი ბიჭი მყავს — რვა წლის ლევანი და ოთხი წლის ნიკუშა), მრავალრიცხოვან მეგობრებში ვატარებ.

**— როგორი დამოკიდებულება გაქვთ მაყურებლებთან?**

**კიპიანი:** უიმათოდ ფეხბურთი ვერც კი წარმომიდგენია. მაყურებელი სჭირდება თამაშს. სხვადასხვანაირი მაყურებელი — ეს საინტერესოც კია. მიყვარს ხალხი, რომელიც ფეხბურთით ცხოვრობს. ამ მხრივ ლივერპულშიც გამიღიმა ბედმა და ჰამბურგშიც.

**ყიფიანი:** მაყურებელთა უყურადღებობაზე ვერ დავიჩივლებ. და არა მარტო თბილისში. ადამიანები მოდიან სტადიონზე, რათა დაისვენონ, ლამაზი სანახაობით დატკბნენ და ჩვენ უფლება არა გვაქვს გავუცრუოთ მათ იმედი.

ფეხბურთელებს ესაუბრა
გარუნ აკოფოვი.

# საყურადღებო

## მეეტლე ლონდონის ცენტრში

150 წლის წინათ ლონდონის სიტიდან პადინგტონის ულამაზესი რაიონისაკენ გაემართა პირველი ომნიბუსი, რომელშიც 20 მგზავრი იჯდა. სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრი იყო გასავლელი, მაგრამ ეს მეტად მნიშვნელოვანი რეისი სამუდამოდ დარჩა ინგლისელების მახსოვრობაში, რადგანაც ამით გაიხსნა ომნიბუსის მოძრაობა ლონდონში და იმ დროიდან ბრიტანეთის დედაქალაქში დასაბამი მიეცა საზოგადოებრივ ტრანსპორტს.

ლონდონელი რესტავრატორები ძმები ერიკ და ლესლი კუკები სამ თვეს მუშაობდნენ პირველი ომნიბუსის რეკონსტრუქციაზე, რისთვისაც საფუძვლად გამოიყენეს ორმოცდაათწლიანი სიძველის ერთ-ერთი ეკიპაჟი. და აი შედეგიც; ახლა მსურველები ბილეთებს ყიდულობენ, ომნიბუსში სხდებიან (თუმცა ეს დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ ხდება), მეეტლე ზარს ჩამოკრავს, შოლტს მოიქნევს და სამი ქურანი მგზავრებს ლონდონის ქუჩებში მიაქროლებს... როგორც 150 წლის წინათ.

## უთოვლო სამხრეთის პოლუსი

ყველასათვის გასაგებია, რომ ანტარქტიდაში საამო არაფერია. ზოგჯერ აქ ტემპერატურა ცელსიუსით მინუს ოთხმოც გრადუსზე დაბლა ეშვება. სპეციალური ყველგანმავალის გარეშე ფეხს ვერსად გაადგამ, ცხოვრება მხოლოდ განსაკუთრებით დათბუნებულ სადგომებში შეიძლება. ერთი სიტყვით, ყველამ იცის, რას წარმოადგენს ანტარქტიდა. და აი, ირკვევა რომ ის სულაც არ ყოფილა დედამიწის ყველაზე თოვლიანი ადგილი. დიახ, ეს გახლავთ ყველაზე ყინულოვანი, მაგრამ არა ყველაზე უფრო თოვლიანი მხარე! სამხრეთ პოლუსზე თოვლის საფარი წელიწადში ათ-თხუთმეტ სანტიმეტრს აღწევს... ეს არის და ეს.

## ტრადიციის ძალა

ამბობენ, ინგლისში ტრადიციების მიმართ არ ხუმრობენო. და მაინც... ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ლონდონში დამკვიდრებული წესით მდინარე ტემზის ერთ-ერთ ხიდზე ცხვრის გადარეკვა აკრძალულია; ერთი გამონაკლისით: ქალაქის საპატიო მოქალაქეებს ამის ნება ეძლეოდა.

ამას წინათ ლონდონის საქალაქო საბჭოს ერთმა წევრმა გადაწყვიტა, საპატიო მოქალაქის წოდებით ესარგებლა და ინგლისელთათვის ძველისძველი პრივილეგია შეეხსენე-



ბინა. ამ ფრაკიანმა და ცილინდროსანმა შოლტმომარჯვებულმა საპატიო მოქალაქემ ტემზის ხიდზე ცხვრის ფარა გადარეკა და ტრანსპორტის მოძრაობა შეაჩერა... მაგრამ პოლიცია? პოლიცია უძლური გამოდგა, რადგანაც ეს ძველი წესი დღემდე კანონის ძალას ინარჩუნებს.

## ამაოხრებელი შემოსევა

ჩვეულებრივ მიაჩნიათ, რომ თაგვები მფრთხალი, უწყინარი არსებანი არიან. მაგრამ ავსტრალიის ქალაქ კასტერტონის ორიათასხუთასმა მცხოვრებმა ძირფესვიანად შეიცვალა თავისი შეხედულება, როცა ისინი პატარა მღრღნელების ალყაში მოექცნენ. ორი დღის განმავლობაში მათ სახლებიდან გამოფხი-



კეს სიგარეტები და ასანთიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ბურღულსა და სხვა სურსათ-სანოვაგეზე. ქალაქში გავლა არც ფეხით შეიძლებოდა, არც ტრანსპორტით, რადგანაც ქუჩები ერთიანად მოფენილი იყო თაგვების „ხალიჩით". და მხოლოდ პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა შხამქიმიკატების დახმარებით გაასუფთავეს კასტერტონი ნაცრისფერი მძარცველებისაგან.

## დრო იცდის

ქალაქ დუბროვნიკის (იუგოსლავია) ცენტრში მაღალ კოშკზე მოთავსებულია საათი. აქ საკვირველი არაფერია: კოშკის კურანტი პლანეტის მრავალ ქალაქს ამშვენებს. წაოცრება სხვა რამ არის: დუბროვნი-



კის საათი ყოველ საათში ორჯერ რეკავს... პირველად მაშინ, როცა უნდა რეკავდეს კიდეც, მეორედ კი — სამი წუთის შემდეგ... სპეციალურად დაგვიანების მოყვარულთათვის.

## საჭმელად ვარგისი... ტიხრები

უჩვეულო პროექტი წამოაყენა ჩრდილოეთ კაროლინის შტატის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორმა დუგლას უორფმა. რამდენადაც კოსმოსურ ხომალდებში ადგილები ძალზე შეზღუდულია, ხანგრძლივი საპლანეტათშორისო ფრენის დროს ძნელი იქნება პროდუქტების საავარიო მარაგის საკმარისად წაღება. პროფესორის აზრით, კოსმონავტთა ერთადერთი გამოსავალია ის რომ საჭმელად გამოიყენონ... თავიანთი ხომალდები; ამიტომ შიდა ტიხრები, კარადები და თაროები უნდა დამზადდეს კვერცხის ცილის, სიმინდის ფქვილისა და რძის ფხვნილის ქანწნეხილი ნარევისაგან. ასეთი „ავეჯი" საკმაოდ მტკიცეა იმისათვის, რომ ზედმეტ დატვირთვას გაუძლოს, და კოსმოსში გაუთვალისწინებელი დაყოვნების შემთხვევაში სრულიად ვარგისი იქნება საკვებადაც. ტექნიკურად ეს იოლად განხორციელდება, ამბობს დუგლას უორფი, და უკვე ახლავე შეიძლება, რომ შევუდგეთ შესაბამის ცდებს ორბიტული ფრენის დროს.

(„ვოკრუგ სვეტა")

## კროსვორდების პასუხები

1979 წლის „დროშა" № 11-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები·

თარაზულად: 1. სურდინა. 4. გაფრინდაშვილი. 8. დებოში. 9. ნაგატო. 11. ბრიჯი. 15. „ნავარა". 16. პორტიე. 17. „სინძიდაისია". 20. კრამერი. 21. აქცენტი. 22. მარაო. 26. დიორამა. 27. აქსიომა. 28. ინტერპრეტაცია. 29. იქთიოლი.

შვეულად: 1. სერბია. 2. დადიანი. 3. აივანი. 4. გაბროვო. 5. იმამატი. 6. ადმინისტრაცია. 7. კონსერვატიზმი. 10. არბიტრი. 12. რადიოლა. 13. ჯაკარტა. 14. ზოდიაქო. 18. იმპორტი. 19. „ბენფიკა". 23. რაკურსი. 24. მანეჟი. 25. ბადაგი.

1970 წლის „დროშა" № 12-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ვერტიკალურად: 1. „სათაგური". 2. ნუტრია. 3. ირტიში. 4. ანტიოქია. 6. ანჯამა. 8. ინკები. 9. მენოტი. 14. კენტი. 15. ილეში. 18. მოპასანი. 19. „მაზეპა". 20 ალიგიერი. 21. იუნონა. 23. ვალუტა. 25. იდლიბი. 26. იდალგო.

ჰორიზონტალურად: 5. „ნაკადული". 7. ხერგიანი. 10. აბჯარი. 11. დისკაი. 12. შუამთა. 13. ირბაქი. 14. კიტრი. 16. სალონი. 17. მედუზა. 22. ირანი. 24. ოპიუმი. 26. იტალია. 27. სკოპლე. 28. სამუმი. 29. ანსამბლი. 30. „მოგზაური".

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: თენგიზ სამსონაძის პლაკატი „საქართველოს გაზაფხული".

გადაეცა ასაწყობად 22/I-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/II-80 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 56.000. შეკვ. 211. უე 01517. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი... 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ნამეხარი მუხა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

## ზურაბ დათუაშვილი

გაზაფხული მთაში.



ბუნების წიაღში.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

6112/28